პარტიების ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეგობრული რესპუბლიკების საკავშირო ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 28-Й ВЕСНЫ

ხუთშაბათი, 6 აპრილი, 1948 წ. № 69 (8113). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სოფლის ინტელიგენციის თეორიულ აღზრდას—ბოლშევიკური ხელმძღვანელობა—მოწერილია (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების დროშით (1-ლი გვერდი).
ჩავაბათ თვითთქული კომუნისტი აქტიურ პარტიულ ცხოვრებაში (მე-2 გვერდი).
ირან-ამერიკის სამხედრო შეთანხმების საკითხისათვის (მე-2 გვერდი).
ჩინეთის მთავრობის პროტესტის უარყოფის გამო (მე-2 გვერდი).
ნოვათორი ხარატის ბორტკევიჩის მიბაძვით (მე-3 გვერდი).
ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).
ა. ბონდარევი — უკეთესად მოვაფხიზოთ „ოთხ“ ოსტატობისა ნიშნისათვის მოიზადება (მე-3 გვერდი).
ი. ფრანგულიანი — ავაბალლოთ ჩვენი ძალაქებისა და სოფლების სანიტარული კულტურა (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეკეშები (მე-4 გვერდი)..

სოფლის ინტელიგენციის თეორიულ აღზრდას—ბოლშევიკური ხელმძღვანელობა

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე პარტიული ორგანიზაციების წინაშე მთელი სიმკვეთრით აყენებენ საბჭოთა ხალხს, კერძოდ საბჭოთა ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ამოცანას. თვითეული პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ყოველდღიურად აზრიანის კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში მომუშავე კადრების ბოლშევიკური გამოწრთობისათვის.

პარტიული ორგანიზაციის განსაკუთრებით დიდ ყურადღებას მოითხოვს სოფლის ინტელიგენციასთან მუშაობა. სოფლის ინტელიგენციის კადრები დიდი ძალაა. მათზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი წარმატებანი, კოლმეურნეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობისა და კულტურის დონის განუხრელი ზრდა. სოფლად მუშაობა უხდება საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილ მრავალ ინტელიგენტს — მასწავლებლებს, აგრონომებს, ექიმებს, ინჟინრებს, კულტურისა და ხელოვნების ბევრ მუშაკს. ისინი პარტიული ორგანიზაციების დასაყრდენი არიან სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დარგში. სოფლის ინტელიგენტები ეწევიან პარტიის პოლიტიკის პროპაგანდისა და აგიტაციას. მათ თანამონი და ათიათასობით კოლმეურნე უსმენს, უჯერებს. მაშასადე, იმისათვის, რომ ისინი უფრო მეტი წარმატებით მუშაობდნენ, რომ ყოველი მათი საუბარი, მოსმენება, ლექციი კიდევ უფრო მამზდელი და ფასადები იყოს, საჭიროა თვით ისინი, სოფლის ინტელიგენტები, კარგად იყვნენ დაუფლებულნი მეცნიერებას საზოგადოების განვითარების შესახებ, — მარქსიზმ-ლენინიზმს, მოდგამ ამ-ოდიდებენენ თავიანთ ცოდნას.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა არა მარტო ის არის, რომ ფართოდ ჩაბან ინტელიგენციის კადრები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, არამედ ისიც, რომ სისტემატურად, ქმედითად დაეხმარონ მათ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საქმეში. ორ შეიძლება არ აღინიშნოს ის წარმატებანი, რაც ამ მიმართულებით მოიპოვეს საკარავეთოს ბევრი რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა. ამის შედეგად გაიზარდა სოფლის ინტელიგენციის კადრების აქტივობა. სოფლის თანამონი მასწავლებელი, აგრონომი, ტექნიკოსი, ექიმი გულმოდგინედ სწავლობს ბოლშევიზმის თეორიასა და პოლიტიკას, იმალლებს კვალიფიკაციას, ეუფლება მეცნიერებას, ფართო მონაწილეობას იღებს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა, რომლებიც მოპოვებულია სოფლის ინტელიგენციის თეორიული დონის ამაღლების საქმეში, ზოგიერთი რაიონის პარტიულ ორგანიზაციას ამ მხრივ ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებანი. სუსტად ხელმძღვანელობენ ადგილობრივი ინტელიგენციის თეორიული განათლების საქმეს საგარეჯოს რაიონში. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ეს მუშაობა რაიონულ ცენტრს დამორებულ სოფლებში. რაიკომის პარტკაბინეტი, მომხსენებელთა ჯგუფი იშვათად ატარებს სოფლის ინტელიგენციისათვის ლექციებს, მოხსენებებს, თეორიულ საუბრებს, კონსულტაციებს. პარტიის სიფლიის რაკომშა ამას წინათ ულიანოვკის მტს-სთან შეაქმნა ექვსთვიანი პარტიული სკოლა, რომელშიც 35 მსმენელი გაერთიანდა. პარტიულ სკოლაში მსმენელთა ერთი ნაწილი სისტემატურად აცდენს მეცადინეობას, უყურადღებობას იჩენს თეორიის დაუფლებისადმი. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ზომები არაა მიღებული. მსგავსი ნაკლოვანებანი სხვა რაიონებშიც არის.

სოფლის ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობას. კარგად მომზადებული საჯარო ლექციები და მოხსენებები დიდად დაეხმარება ჩვენს კადრებს ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის, საბჭოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესწავლაში. ამ მიმართულებით ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას. უკვე კარგახანია, რაც ეს საზოგადოება არსებობს. ჩატარდა ბევრი მნიშვნელოვანი ხასიათის ლექციი. მაგრამ რა მუშაობას ეწევა ეს ორგანიზაცია სოფლად? როგორ ეხმარება იგი სოფლის ინტელიგენციის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გაღრმავებაში? — ძალიან სუსტად. ამ საზოგადოების მუშაობა უმთავრესად ქალაქად საკარო ლექციების წაკითხვით ამოიწურება, ხოლო სოფლად მას ჯერ-ჯერობით თითქმის არაფერი გაუკეთებია. აღსანიშნავია ისიც, რომ დღემდე ნაკლებად იკითხება ლექციები ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის, საბჭოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკის, საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროების, მეოთხე ატალინური ხუთწლედისა და მთელ რიგ სხვა აქტუალურ საკითხებზე. ეს საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობის დიდი ნაკლია. ამ ნაკლის გამოსწორებისათვის ახლავე უნდა მივიღოთ საჭირო ზომები.

ინტელიგენციის თეორიული სწავლების საკითხი პარტიის რაიონულო კომიტეტების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. საქართველო ხშირად განეხილოთ ეს საკითხი ბიუროს სხდომებზე, გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა და დახმარება წოგნზე დამოუკიდებლად მომუშავე და პარტიულ სკოლებში გაიერთიანებულ ინტელიგენტთა კადრებისადმი.

სოფლის ინტელიგენციის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ფართოდ ჩაბმა, ნამდვილი დახმარება და ხელმძღვანელობა მათი მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის, მათგან ბოლშევიკ პროპაგანდისტთა და აგიტატორთა გამოზრდა რაიონული პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მარცვლეულის, მზესუმზირას და კარტოფილის თესვა

1 აპრილისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 12,6 პროცენტით (მათ შორის ხორბლისა—6,3 პროცენტით), მზესუმზრისა — 54,7, კარტოფილისა — 4,4, ბოსტნეულისა — 13,4 პროცენტით.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა დამთავრებულია 9 რაიონში. გარდაბნის რაიონში გეგმის გადამეტებით დათესილია 60 ჰექტარი ქერეული, ქუთაისის რაიონში — 67 ჰექტარი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 7,8 პროცენტით, სავარეჯოს — 66,6, ახმეტის—96,1, თელავის — 94,3, ყვარლის—93,2, თეძორი წყაროს — 13,3, დუშეთის—8,6, ბორჯომის — 0,2, ჯაჯანის—60,7, გორის—35,2, ქარაღლოა—42,5, ხაშურის — 52,3, სამტრედიის რაიონში—4 პროცენტით.

წელს გეგმით მზესუმზირა საქართველოს სსრ 11 რაიონში უნდა დათესოს, სულ 17.000 ჰექტარი. აქედან 1 აპრილისათვის დათესილია 9.296 ჰექტარი. გეგმა შესრულებულია 54,7 პროცენტით.

მზესუმზირა გეგმის გადამეტებით ითესება ყვარლის, თელავისა და ცხინვალის კოლმეურნეობებში. საგარეჯოს რაიონში დავალება შესრულებულია 86 პროცენტით, თბილისის რაიონში — 79,5, ლაგოდეხის — 96,3, წითელწყაროს—9, სიღნაღის—55,9, კაჯრეთის — 57,1, გურჯაანის — 91,7, თეძორი წყაროს რაიონში—74,9 პროცენტით.

კარტოფილის თესვის რეპუბლიკური გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებულია 4,4 პროცენტით. თესვა დაწყებულია აფხაზეთის ას რეპუბლიკაში და 13 რაიონში: აფხაზეთში დავალება შესრულებულია 10 პროცენტით, გურჯაანის რაიონში—76,7, კაჯრეთის — 50, სიღნაღის — 73,3, თეძორი წყაროს—14,4, ლაგოდეხის — 92, გარდაბნის—82,9, წითელწყაროს — 18,3, თელავის—22, ახმეტის—12, თბილისის — 16, მარნეულის — 22,9, ბოლნისის — 43,3, საგარეჯოს რაიონში — 26,9 პროცენტით.

ბოსტნეულის თესვი დაწყებულია აფხაზეთში და გარდაბანს, გურჯაანის, თბილისის, მცხეთის, კაჯრეთის, მარნეულის, საგარეჯოს, ყვარლის, ახმეტის, სიღნაღის, თელავის, თეძორი წყაროს, გორის, ვანის, ქუთაისისა და მახარაძის ფეხზეგნებში.

სტალინგრადი. ცარიცინ-სტალინგრადის დაც ვის ი. ბ. სტალინის სახელობის მუზეუმის აღდგენილი შენობა. ფოტო ა. მაკლეფოფისა (საგაზეთო ფოტოქრონიკა)

საბჭოთა კავშირში

ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლეველა ინსტიტუტმა შეიქმნა ტრაქტორით მომუშავე მარცვალ-სასუქის სათესი მანქანა სკ-24. იგი განკუთვნილია მარცვლეული კულტურების (ხორბლის, ქვეავის, ქერის) და მინერალური სასუქების ერთდროულად თესვისათვის. მანქანის ამისათვის აქვს სასუქის მოსაცი სპეციალური აპარატები, რომლებსაც სასუქი ანანილებით ნიადაგში შეაქვთ. ამასთან ერთად სასუქი მთელ მინდორზე კი არ იფანტება, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება, არამედ უშუალოდ თესლის ქვეშ მოექცევა. ეს მოსაკლიანობას ზრდის ჰექტარზე საშუალოდ 2-3 ცენტნერით.

კრასნოდარის მხარეში ჩატარებულმა ამ მანქანის გამოცდამ კარგი შედეგები გვიჩვენა. უახლოეს დროში კიროვოგრადის ქარხანა „კრასნაია ზვეზდა“ გამოუშვებს მარცვალ-სასუქის სათესი მანქანების პირველ პარტიას.

ინსტიტუტის მიერ კონსტრუირებულია ავრეთვე ცხენის კანაფსალეწი მანქანა. დღემდე ამ კოლტრას ხელით ლეწავდნენ საათში 150-200 ძნის სიჩქარით. ახალმა მანქანამ, რომელიც სუფთა ოლქში გამოსცადეს, საათში საშუალოდ 530 ძნა გალეწა. ვანალეწის სიწმინდე 97 პროცენტს შეადგენს.

კანაფსალეწი მანქანების სერიული წარმოება დაიწყება მიმდინარე წელს ვეიეკეის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში. (საკ.ფილმ).

ბაღისა და ვენახის დასამუშავებელი მანქანები

სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო ბაღისა და ვენახის დასამუშავებელ მანქანების სერიულ გამოშვებას აწყობს ოდესის, დნეპროპეტროვსკის, ტაშკენტის, ლვოვის, სტალინოს და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებში. ქარხნები სხვა მანქანებთან ერთად გამოუშვებენ სამალნაჯაფო და ბაღის გუთნებს, ნიერგის და სხვ.

სამალნაჯაფო გუთანი განკუთვნილია ვენახის ნიადაგის დასამუშავებლად. ის ზნავს 75 სანტიმეტრზე მეტი სიღრმით.

წელს დასასრულამდე ჩვენი ქვეყნის სამხრეთი რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები 3.000-ზე მეტ ახალ მანქანას მიიღებენ.

ჭყის დაცვა მავნებლებისაგან

სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტრომ გადასწყვიტა მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის ყველა ტყე მოიყვანოს კულტურულ-სანიტარულ მდგომარეობაში. ამ მიზნით ფართოდ ეკითარდება ტყის დაცვითი ღონისძიებანი. შემოღებულია სანიტარული მინიმუმის წესები, ეწყობა ტყეთა გაწმენდა, ავრეთვე გეგმაზომიერი ბრძოლა ტყის ჯიშების მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ. სატყეოებში ეწყობა „ტყის დაცვის კუთხეები“, სადაც ნაჩვენები იქნება ამა თუ იმ ადგილას ავრცელებული ტყის მავნებლები და მიათითებული იქნება სიფრთხილის ყველაზე ეფექტური და მავნებელთა გამანადგურებელი საშუალებანი.

მოსკოვს ჩამოვიდნენ საერთაშორისო საჭადრაკო ჯურნირის მონაწილენი

4 აპრილს მოსკოვს ჩამოვიდნენ ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩ-ტურნირის მონაწილენი: გროსმასტერი მ. ბოტვინიკი, გროს. მასტერი ვ. სმისლოვი და მსოფლიოს ექსჩემპიონი მ. ეიე. მათთან ერთად ჩამოვიდნენ: ტურნირის მთავარი მსაჯი, უუგოსლავიელი პროფესორი მ. ვიდმარი და მისი მოდგილეები—სსრ კავშირისაგან გროსმასტერი ა. კოტოვი, ჰოლანდიისაგან — კოტლიეკერი და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან — რეგე, ჰოლანდიის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ციტერშტანი, ჩეშმპიონატის მონაწილეთა სეკრეტარტები, საბჭოთა და უცხოთის პრესის კორესპონდენტები.

ბელორუსის ვიგზალზე ჩამოსული შეჯიდნენ სსრ კავშირის პინიტერთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დ. ბოსტანოკი, უცხოეთთან კულტურული ერთობის კომიტეტის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივ-საკავშირო საქმეთა ფედერაციის, ფედერაციის საჭადრაკო საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, ადგილად მოსკოვს ადრე ჩამოსულნი, ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი ს. რეშევსკი.

პრეზიდიუმის ვიდმარმა ეპასუხა შეჯეფრთა მისალმებას და ვანაცხადა, რომ რესეთში იგი პირველად იყო 40 წლის წინათ როგორც პატტერბერის საჭადრაკო ტურნირის მონაწილე და ახლა მოგონებანი ნახის ეარდაქნილი ქვეყანა, რომელმაც მსოფლიო ომ-ლეკანი მოჭადრაკეები აღზარდა.

* * *

მატჩ-ტურნირის მოსკოვის ნახევარს პირველი ტური შესდგება 11 აპრილს. თამაში გაგრძელდება ალეშინის სახლის სეკტორიან დარბაზში ცკრიალობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 17 საათსა და 30 წუთიდან, ხოლო დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება — ალეშინის სახლის ოტაშვრის დარბაზში ორშაბათობით, თოხშაბათობით და პარასკევებით, 16 საათსა და 30 წუთიდან.

უკანასკნელი ტური, რომელზეც მსოფლიოს ახალი ჩემპიონი გამოვლინდება, 16 მაისს შესდგება. (საკ.ფილმ).

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ეროვნით

მეგზი მაღალხარისხოვანი ნართი და ქსოვილი, ფეიქრებო!

მარტში დაიწყო საქართველოს საფეიქრო საწარმოთა მოწინავე სტახანოველი მესვეურებისა და მრთველების სოციალისტური შეჯიბრება პროფესიათა მიხედვით. ამან დიდად შეუწყო ხელი საწარმოთა კოლექტივებს მუშაობის გაუმჯობესებაში და გეგმების არა მარტო რაოდენობრივი, არამედ საასორტიმენტო და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით შესრულებაში. ამუამად უკვე შეჯამებულია ფეიქართა შეჯიბრების მწარტის შედეგი.

ცალკე საწარმოებში მიღებულია პროფესიათა მიხედვით შეჯიბრების ასეთი შედეგები:

თბილისის მაუდ-კამბოლის ფაბრიკა

ფაბრიკის საქმოსნა საამქროს პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 5 დღით ადრე და თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოგვცა 30.000 მეტრი ქსოვილი.

მქსოველთა შორის მარტში საუკეთესო მაჩვენებლები მოგვცეს მრავალდაზგაოსნებმა ბ. კოკლიაშვილმა (თვიური გეგმა 138,6 პროცენტით გაანაღდა), ლ. ასათიანმა (138,2 პროცენტით), ა. ეფდოკიმოვამ (123,6 პროცენტით) და ნ. პონომარენკომ (130,5 პროცენტით).

მაუდის ხართავი საამქროს სტახანოველთა შორის შეჯიბრებაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოიპოვეს თ. მეგრელაძემ (გეგმა 128,2 პროცენტით შეასრულა) და მ. თალაკვაძემ (128 პროცენტით). ძაფის მხვეველთა შორის დაწინაურდა ა. ვართანოვა, რომელმაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (203,5 პროცენტი) მოიპოვა. მრთველი სტახანოველების შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ი. კოლესნიკოვამ (142,9 პროცენტი) და ნ. ზარკუაშ (139 პროცენტი). მეფთილე თ. მაზმიშვილმა გეგმა შეასრულა 156,3 პროცენტით, ა. კომშიანოვამა—147 პროცენტით.

მარტის მესამე დეკადიდან პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში ჩაებნენ ქსოვილთა მორთვაზე მომუშავენი, რომელთა შორის კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს მ. კარუჩკოვამ (139,1 პროცენტი) და ფ. დიაჩკოვამ (137,2 პროცენტი).

აბრეშუმსაქსოსი ფაბრიკა

თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის სტახანოველმა მქსოველებმა ე. ურთაშვილმა, თ. კოპალეიშვილმა, ე. მეხრაძემ, თბილისის საბჭოს დეპუტატებმა ე. ნიკულინამ და ა. სახარულიძემ, მქსოველებმა ნ. ერმაკმა და ს. ზიბაროვამ, მხვეველმა ნ. ქვაბაძემ, რომელებიც მაუდ-კამეოლის ფაბრიკის თავანანთი პროფესიების სტახანოველებს ეჯიბრებიან, მარტში მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს.

ოთხდაზგაოსანმა მქსოველმა ეკატერინე ურთაშვილმა გეგმით გათვალისწინებული 707 მეტრის ნაცვლად მოქსოა 1251 მეტრი ქსოვილი და თვიური დავალება 176,8 პროცენტით გაანაღდა. ეკატერინე მეხრაძის საწარმოო მაჩვენებელია 172,2 პროცენტი. მან მოქსოა 1216 მეტრი ქსოვილი. მქსოველმა თამარ კოპალეიშვილმა გეგმა შეასრულა 160 პროცენტით და 1216 მეტრი ქსოვილი მოგვცა. ეფდოკია ნიკულინამ, რომელიც ორ რიულ დაზგაზე უწევს მომსახურებას, მარტის დავალება 215,6 პროცენტით გაანაღდა. ორდაზგოსანი ალექსანდრა სახარულიძე რიული ასორტიმენტის ქსოვილის — კრეპ-პარაზიენის — გამოშვებაზე მუშაობს. მან მარტში 126,1 პროცენტით შეასრულა დავალება და 399 მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი გამოუშვა.

მქსოველ ვოფიო ზიბაროვას თვიური საწარმოო მაჩვენებელია 190,2 პროცენტი, ხოლო მქსოველ ნინო ერმაკისა—186,6 პროცენტი.

სტახანოველმა მხვეველმა ნათელა ქვაბაძემ მარტში ამოახვია 160 კილოგრამი ძაფი და დავალება 114,3 პროცენტით შეასრულა.

მთლიანად ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა. სპეციალურ-ბრაკის ფეიქრებმა იკისრეს თვიური გეგმის 25 აპრილისათვის განაღდება.

ბამბის ძაფსახართავი ფაბრიკა

პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების მარტის შედეგების შეჯამებისას აღმოჩნდა, რომ ამ თვეში ფაბრიკაში შესამჩნევად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი და ზუსტად იქნა დაცული ასორტიმენტი. ფაბრიკამ მარტის გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების მიხედვით შეასრულა 110,3 პროცენტით. ასორტიმენტის გეგმა (ტონა-ნომრების მიხედვით) შესრულებულია 100 პროცენტით. ამავე დროს მიღებულია შემდეგი ხარისხობრივი მაჩვენებლები: უმაღლესი ხარისხის ნართი გამოშვებულია 52,5 პროცენტის რაოდენობით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 პროცენტისა. პირველი ხარისხის ნართი გამოშვებულია 31,2 პროცენტის რაოდენობით, ნაცვლად 25 პროცენტისა, მეორე ხარისხის ნართი 9,4 პროცენტის რაოდენობით, ნაცვლად 15 პროცენტისა, და მესამე ხარისხის ნართი 7 პროცენტის რაოდენობით, გეგმით გათვალისწინებული 10 პროცენტის ნაცვლად.

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში მრთველებს შორის მარტში საუკეთესო მაჩვენებლები მოგვცეს ვ. ტრუბნიკოვამ (გეგმა შეასრულა 162,7 პროცენტით), ნ. კობესაშვილმა (154,9 პროცენტით) და ე. სისოევამ (151,2 პროცენტით).

მეფთილეებს შორის შეჯიბრებაში გამარჯვება მიეკუთვნათ ა. ბაბაევს (გეგმა შეასრულა 154 პროცენტით), ბ. ზუევას (149,8 პროცენტით) და ე. ხეხელაშვილს, რომელმაც მარტის გეგმა 133,9 პროცენტით შეასრულა.

მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა

მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის ლენინის ორდენოსანი სტახანოველი ციალა ღლონაი, რომელიც საქართველოს საფეიქრო მრეწველობაში ძაფსამომზადებელთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია, წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებანს. 15 მარტიდან იგი მეოთხე დაზგასაც უწევს მომსახურებას და ყოველდღიურად ოთხი დაზგის ნორმას 150 პროცენტი ასრულებს. პირველ კვარტალში მან 5 თვის გეგმა შეასრულა.

ძაფის ამომღებთა შორის შეჯიბრებაში ჩაება ფაბრიკის ორასზე მეტი სტახანოველი. შეჯიბრების პირველი დღეებიდანვე ნორმებს 140 პროცენტით ასრულებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სტახანოველი სოფიო ჯღენი, სამდაზგრსნები ნადია ანთიძე და ნორა კამბერეცოვა.

სოციალისტური შრომის გმირები

ნ. ი. ბაბუა
ცხინვალის რაიონის სოფლის მეურნეობის კოლეგიოლების ბრიგადა. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი ბუმბირი მოლეანდე რაიონში ხინოფლის მოსავლის გეგმიანი აღების 47,8 პროცენტის გადაკარბებით შესრულების ფურნეველეოფისათვის.



ბ. ზ. ბეჟელიშვილი
ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 16 ჰექტარი ფარფოლის თესიფოლ ჰექტარზე 23,15 ცენტნერი თესლეულის მოლებისათვის.



ბ. ბ. ფალია
ოზურგეთის რაიონის ბაკურიანის სახელობის კოლმეურნეობის მებრიგადირე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ფარფოლის თესიფოლ ჰექტარზე 74,9 ცენტნერი ხიმინდის მოლებისათვის.

თ. ლ. ჭაკაბა
ბაღლის რაიონის კოლმეურნეობა „ხაბეჩოთა ჩაის“ ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6 ჰექტარ ფარფოლის თესიფოლ ჰექტარზე 76,3 ცენტნერი ხიმინდის მოლებისათვის.

კომუნისტი

სამშაბათი, 6 აპრილი, 1948 წ. № 80 (8118).

ჩავაბათ თვითეული კომუნისტი აქტიურ პარტიულ ცხოვრებაში

ჩვენი პარტია საბჭოთა ხალხის საუკეთესო ადამიანების მებრძოლი თვითმოქმედი ორგანიზაციაა. იგი ძლიერია მის შემჭიდროებულ რიგებში შემავალი თვითეული ადამიანის აქტივობით. აქედან გამომდინარეობს პარტორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა — განავითარონ კომუნისტების თვითმოქმედება, აქტივობა, მიაღწიონ იმას, რომ პარტიის თვითეული წევრი ნამდვილად იყოს უპარტიოთა წინამძღოლი, ახორციელებდეს თავის ავანგარდულ როლს, მტკიცედ ასრულებდეს პარტიის მიერ მისთვის წაყენებულ დიდ მოთხოვნებს.

პარტიულ მუშაობასა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში კომუნისტების აქტიური მონაწილეობა საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა.

კომუნისტი ცხოვრების გულგრილი მაყურებელი კი არ არის, არამედ მისი მგზნებარე შემოქმედია. მაღალი კომუნისტური შეგნება, ლენინ-სტალინის პარტიის იდეებისადმი ღრმა ერთგულება, აქტიური პარტიული და საწარმოო საქმიანობა, შემოქმედებითი წვა, ინიციატივა, ნოვატორობა — აი რა ახასიათებს ნამდვილი ბოლშევიკის ცხოვრებას. ყველგან და ყველაფერში, სოციალისტური მშენებლობის თვითეულ უბანზე, კომუნისტმა უნდა განახორციელოს თავისი წამყვანი როლი, უჩვენოს უპარტიოებს დისციპლინის, შრომის მაღალი ნაყოფიერების, საერთო-სახელმწიფო ინტერესთა გაგების მაგალითი. ქარხანაში მომუშავე კომუნისტი ვალდებულია იყოს მოწინავე—სტახანოველი—გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში მას უნდა ჰბაძავდეს ყველა მუშა. სოფლად მომუშავე კომუნისტი უნდა იყოს კოლმეურნეობის სოციალისტური ცხოვრების აქტიური ორგანიზატორი, საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების დარგში ყველა წამოწყების ინიციატორი და გამტარებელი. ბოლშევიკისათვის უცხოა თვითდამშვიდება, იგი ყოველთვის წინ მიისწრაფვის, კისრულობს ყველაზე ძნელ საქმეს, მიდის ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლის მოწინავე პოზიციაზე.

ასეულ ათასობით და მილიონობით რიგითი კომუნისტები, მუშები და გლეხები, ტონს აძლევენ ჩვენს საზოგადოებრივ და საწარმოო ცხოვრებას. ისინი თავმდაბალი ადამიანები არიან, მაგრამ ფართო პოპულარობით სარგებლობენ ქარხნებში, კოლმეურნეობებში, შახტებში როგორც სოციალისტური შეჯიბრების წინამძღოლები, როგორც შრომის სოციალისტური მეთოდების ინიციატორები. აი, მაგალითად, მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნის სტახანოველი კომუნისტი მაკაროვი. მან კეთილშობილური მიზანი დაისახა — ვადამდე შეასრულოს ხუთი წლიური ნორმა. ამხ. მაკაროვმა ორ წელიწადში შეასრულა რვაწელიწადნახევრის სამუშაო. ასეთი მაგალითი აღმაფრთოვანებელია.

შესანიშნავი ადამიანები აღზარდა ჩვენმა პარტიამ საკოლმეურნეო სოფელში. სოფლის ათობით კომუნისტს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. ესენი არიან აქტიური მებრძოლნი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, უხვი მოსავლის ოსტატები, დიდი ნიჭის ადამიანები, შეჯიბრების წამომწყებნი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიის თვითეულ წევრსა და კანდიდატს უნდა ჩაუნერგონ საუკეთესო ბოლშევიკური თვისებები. კომუნისტი მარტო კარგი საწარმოო მუშაკი როდია, იგი იდეურად შეიარაღებული აქტიური პოლიტიკური მოღვაწეც არის. მას შეუძლია განუმარტოს მასებს ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა და უჩვენოს მათ კავშირი ყოველდღიური შრომის შედეგებსა და კომუნისტური მშენებლობის საერთო ამოცანებს შორის. პარტორგანიზაციას მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა აკისრია თვითეული კომუნისტისათვის. თუ კომუნისტი იდეურად არ აიარაღებს საკუთარ თავს, მაგალითი არ არის უპარტიოებისათვის, განზე დგას თავისი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებისაგან, არ ეწევა პოლიტიკურ მუშაობას მასებში, ასეთი „პარტიელის" შესახებ მოწინავე უპარტიო ადამიანები სამართლიანად ამბობენ: „აბა რა ბოლშევიკია, — განა იგი მაგალითია ჩვენთვის?" პარტიული ორგანიზაცია ვალდებულია ისე მოაწესრიგოს შინაპარტიული ცხოვრება, რომ იგი მუდამ ხელს უწყობდეს წარმოებაში და მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში კომუნისტების მოწინავე როლის გაძლიერებას.

სამწუხაროდ, ჩვენში კიდევ არიან ისეთი პარტორგანიზაციები, რომლებიც არ ზრუნავენ კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის. კემეროვოს, ჩკალოვის და ზოგიერთი სხვა ოლქების მთელ რიგ პარტორგანიზაციებში კომუნისტების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაბმული არ არის აქტიურ პარტიულ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მუშაობაში. აქ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საერთო კრებებიც კი არ ტარდება რეგულარულად. როგორღა შეიძლება კომუნისტების აქტივობის გაძლიერება, თუ მათ დროზე არ გააცნობენ პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, თუ მათ საშუალება არ ექნებათ განიხილონ ადგილობრივი პარტორგანიზაციების ცხოვრების საკითხები, გამოავლინონ ნაკლოვანებანი? ცხადია, რომ პარტიული მეთოდების ამგვარი დამახინჯება აბრკოლებს პარტიის წევრთა და კანდიდატთა აქტივობის ზრდას და ზიანს აყენებს მათი ბოლშევიკური აღზრდის საქმეს.

კომუნისტებზე პარტორგანიზაციების გავლენა უფრო ხშირად იქ სუსტდება, სადაც სათანადო ყურადღებას არ უთმობენ შინაპარტიულ მუშაობას. პარტიული მუშაობის და, მაშასადამე, კომუნისტების აქტივობის ამაღლება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ მტკიცედ დავიცავთ შინაპარტიულ დემოკრატიას, ფართოდ განვავითარებთ ბოლშევიკურ კრიტიკასა და თვითკრიტიკას. მაგრამ ამისათვის საჭიროა რეგულარულად ჩატარდეს კომუნისტების კრებები, კრებებზე განსახილველად დაისვას პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები. კომუნისტები ყოველთვის უნდა იყვნენ თავიანთი საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების ცხოვრების კურსში, იცნობდნენ თავიანთი პარტიული კომიტეტისა და ბიუროს გეგმებს.

საამქროს ან ჯგუფის პარტიულ კრებებთან ერთად, საჭიროა ჩატარდეს საერთო-საქარხნო, მთელი დაწესებულების კრებებიც. თავის დროზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაჰგმო ივანოვოს მელანჟის კომბინატის, გლუხოვის ბამბის ქსოვილების და ტაშკენტის საფეიქრო კომბინატების პარტკომების არასწორი პრაქტიკა, რომლებიც არ იწვევდნენ მთელი კომბინატის პარტიულ კრებებს და არსებითად თავიდან იცილებდნენ კომუნისტების კონტროლს, ხელოვნურად აფერხებდნენ პარტიული მასების თვითმოქმედებას. ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ აქედან სათანადო დასკვნები გააკეთა. ბევრმა — მაგრამ, ჯერ კიდევ ყველამ როდი.

ყველა კომუნისტის ჩაბმა აქტიურ პარტიულ მუშაობაში შესაძლებელია იქ, სადაც ადამიანებს იცნობენ არა „საერთოდ", სადაც ითვალისწინებენ თვითეულის ინდივიდუალურ უნარსა და მიდრეკილებას. კომუნისტებისადმი ინდივიდუალური მიდგომა მთავარია ორგანიზაციულ მუშაობაში. მხოლოდ ადამიანების კარგად ცნობა, მოთხოვნილებათა გათვალისწინება უზრუნველჰყოფს მათს სწორ გამოყენებასა და ბოლშევიკურ აღზრდას.

მოწინავე, წამყვანი როლის განსახორციელებლად კომუნისტები განუწყვეტლივ უნდა ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სრულჰყოფდნენ თავიანთ ცოდნას, აღწევდნენ უფრო მეტ პოლიტიკურ სიმწიფეს. მარქსისტულ-ლენინური თეორია ბოლშევიკების ზნეობრივი ძალის, მათი სიმტკიცის, სიძნელეებთან ბრძოლაში დაუშრეტელი ენერგიის ცხოველმყოფელი წყაროა. სწორედ ამიტომ მოითხოვს ჩვენი პარტია, რომ კომუნისტებმა განუწყვეტლივ გაიფართოვონ იდეურ-პოლიტიკური ჰორიზონტი.

კომუნისტი უნდა იყოს ჩვენი ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის ყველაზე მებრძოლი, ენერგიული და მოწადინებული გამტარებელი, რათა მასში ყველა ხედავდეს პარტიის ერთგულ, პატიოსან და თავდადებულ მებრძოლს, რომელიც თავს არ ზოგავს ყოველგვარ სამუშაოზე და მზად არის დასძლიოს ყოველგვარი სიძნელე.

თვითეული პარტიული ორგანიზაცია მოწოდებულია აღზარდოს კომუნისტები მაღალი იდეურობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის სულისკვეთებით, თავისი პარტიული მოვალეობის ღრმა შეგნების სულისკვეთებით. პარტიის თვითეული წევრისა და კანდიდატის ჩაბმა აქტიურ მუშაობაში ნიშნავს იმას, რომ შევქმნათ თვითეული პარტორგანიზაციის მჩქეფარე საქმიანობის ვითარება, დავრაზმოთ კომუნისტები და მათი ღონისძიებანი მივმართოთ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ამოცანათა, კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანათა შესასრულებლად.

„პრავდის" 5/IV მოწინავე

ჩვენი ქვეყნის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში

ჩვენი ქვეყნის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 31 მარტისათვის 97 პროცენტით შეასრულეს ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის სახელმწიფო გეგმა.

სამხრეთი რაიონების შემდეგ სატრაქტორო პარკის მომზადებას ამთავრებენ ცენტრალური და აღმოსავლეთი რაიონები. მარტის უკანასკნელ ხუთდღიურში ტრაქტორების რემონტის გეგმა შეასრულეს ყაზახეთის სს რესპუბლიკამ, ბრიანსკისა და კემეროვოს ოლქებმა. (საქდესი).

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

პროფესიულ კავშირთა 1948 წლის ბიუჯეტი

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა პროფესიულ კავშირთა 1948 წლის ბიუჯეტი.

ბიუჯეტი ითვალისწინებს პროფკავშირების წევრთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურებისათვის ასიგნობათა მნიშვნელოვან გადიდებას; ამ ასიგნობებს მთელი ხარჯების თითქმის ორი მესამედი უკავიათ. თითქმის ერთიორად დიდდება კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში ლექცია-მოხსენებათა მოსაწყობი თანხები. ორნახევარჯერ გადიდდება ასიგნობანი საწარმოო-ტექნიკური პროპაგანდისათვის, ერთიორად და მეტად გადიდდება მუზეუმებში, გამოფენებზე და სხვაგან ექსკურსიების მოსაწყობი თანხები.

პროფკავშირთა ბიუჯეტში დიდი ადგილი უკავია ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხარჯებს—ეს ხარჯები ერთნახევარჯერ დიდდება შარშანდელთან შედარებით.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა ურთიერთდამხმარე სალაროების დიდი მნიშვნელობა. პროფორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გადაჭრით გააუმჯობესონ სალაროების ხელმძღვანელობა და უზრუნველჰყონ, რომ სალაროებს დროულად და მთლიანად გადაეცეთ ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან სასტიკი კონტროლი გაუწიონ პროფკავშირთა სახსრების სწორად და მომჭირნეობით ხარჯვას. (საქდესი).

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ალპინიადა

3 აპრილს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ განიხილა ალპინიზმის დარგში პროფკავშირთა მუშაობის შედეგები. 1947 წელს პროფესიული კავშირების სასპორტო საზოგადოებებმა კავკასიისა და ტიან-შანის მთებში 12 სასწავლო ალპინისტური ბანაკი გახსნეს. ამ ბანაკებში სწავლობდა და ისვენებდა 4.500 კაცი. 1.500-მდე ალპინისტმა მოახდინა მთის მწვერვალებზე ასვლა.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ გადასწყვიტა 12 ბანაკს გარდა, რომლებიც წელს ზაფხულში იმოქმედებენ, აღადგინოს კიდევ ოთხი ბანაკი, შემდეგი საზოგადოებებისა: „სტალისა" — ყაბარდოს ასს რესპუბლიკაში, „ტორპედოსი" — ჩრდილოეთ ოსეთში, „კრილია სოვეტოვის" და „ლოკომოტივისა" — საქართველოში. 10 ივლისიდან 10 სექტემბრამდე ჩატარდება პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ალპინიადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურელთა ჯგუფები სპორტის მაღალკვალიფიციურ ოსტატთა ხელმძღვანელობით. ალპინიადის მონაწილეები ავლენ 100-ზე მეტ მთის მწვერვალზე.

ნალჩიკში ეწყობა „ტურისტის სახლი". კავკასიის მთებში მდებარე ბანაკების მომსახურებისათვის აიგება 4 ჰიდროელექტროსადგური. „ადილ-სუს" ალპინისტურ ბანაკში, კავკასიაში, ეწყობა ალპინიზმის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი ერთთვიანი კურსები.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ სიგელებით დააჯილდოვა სასპორტო საზოგადოებანი „ნაუკა", „ლოკომოტივი" და „ბოლშევიკი", რომლებმაც 1947 წელს პირველი ადგილები დაიკავეს ალპინიადაში. (საქდესი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

მუშაობა დაიწყო ფოტოსინთეზის კომისიამ

1 აპრილს აკადემიკოს ნ. ა. მაქსიმოვის თავმჯდომარეობით შედგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ახლად შექმნილი ფოტოსინთეზის კომისიის პირველი სხდომა.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ა. ა. ნიჩიპოროვიჩის მოხსენებაში გაშუქებულ იქნა ფოტოსინთეზის პროცესთა შემდგომი შესწავლისა და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის მათი გამოყენების ამოცანები.

ფოტოსინთეზის საიდუმლოს, ე. ი. მზის შუქის ენერგიის შემწეობით მწვანე მცენარეებში ორგანულ ნივთიერებათა შექმნის პროცესის ახსნა, — სთქვა მომხსენებელმა,—მარგი ენერგიის დაუშრეტელ წყაროს აძლევს ადამიანს. ამ პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობდა დიდი რუსი მეცნიერი კ. ა. ტიმირიაზევი, რომელსაც ფოტოსინთეზი მიაჩნდა „ყველაზე მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ მოვლენად".

თანამედროვე მუშაობამ ფოტოსინთეზში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

თათბირზე მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებანი — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ ა. ა. კრასნოვსკისა პიგმენტის შესწავლისათვის მუშაობის ძირითადი ამოცანების შესახებ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ ვ. ა. ბრილიანტისა ფოტოსინთეზის ფიზიოლოგიის შესახებ. (საქდესი).

ირან-ამერიკის სამხედრო შეთანხმების საკითხისათვის

როგორც ცნობილია, 31 იანვარს სსრ კავშირის ელჩმა ირანში ი. ვ. სადჩიკოვმა საბჭოთა მთავრობის დავალებით ირანის მთავრობას გადასცა ნოტა ირან-ამერიკის 1947 წლის 6 ოქტომბრის სამხედრო შეთანხმების გამო. ნოტაში აგრეთვე მოყვანილი იყო მთელი რიგი ფაქტები ამერიკის სამხედრო მრჩეველთა საქმიანობისა, რაც მიმართულია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სტრატეგიულ ბაზად ირანის ტერიტორიის გადაქცევისაკენ.

ირანის მთავრობა თავის 4 თებერვლის პასუხში ცდილობდა უარეყო საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნულ ნოტაში მოყვანილი ფაქტები, ყველა შეთანხმება წარმოედგინა როგორც კონსულტაცია არმიის ადმინისტრაციულ საკითხებზე, როგორიცაა საინტენდანტო, სანიტარული სამსახური და სხვა. ირანის მთავრობა უარჰყოფდა აგრეთვე, რომ ამერიკელი ოფიცრები ხელმძღვანელობენ ირანის არმიას, და ამტკიცებდა, რომ ირანის მთელ ტერიტორიაზე, ყაზარმების ჩათვლით და სხვ., არცერთი ამერიკელი ჯარისკაცი არ იმყოფება. ამასთან ერთად, ირანის მთავრობის აღნიშნული ნოტა ირანში მყოფ საბჭოთა მოსამსახურეებს სრულიად დაუსაბუთებლად სდებდა ბრალად მხარდაჭერასა და მფარველობას, რასაც ისინი თითქოს ირანელ „ავანტიურისტულ ელემენტებს" უწევენ, და ირანის აზერბაიჯანის ამბებში საბჭოთა ადამიანების მონაწილეობას.

24 მარტს საბჭოთა ელჩმა ირანში ირანის პრემიერ-მინისტრს გადასცა ნოტა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია დამაკმაყოფილებლად მიიჩნიოს ირანის მთავრობის განცხადებანი, თითქოს ამერიკის სამხედრო მრჩევლებს ხელმძღვანელი პოსტები არ უკავიათ ირანის არმიაში და რომ მათ არავითარი უფლება არა აქვთ მინიჭებული მონაწილეობა მიიღონ სამხედრო სამინისტროს და სხვა სამხედრო დაწესებულებათა საქმიანობაში. ამ განცხადებათა უსაფუძვლობა სჩანს როგორც ირან-ამერიკის 1947 წლის 6 ოქტომბრის შეთანხმების არსიდან, რომელიც ითვალისწინებს, რომ ამერიკის სამხედრო მისიის მიზანია „თანამშრომლობა ირანის სამხედრო სამინისტროსა და ირანის არმიის პირად შემადგენლობასთან ირანის არმიის ბრძოლისუნარიანობის გადიდების საქმეში", ისე საბჭოთა მთავრობის 31 იანვრის ნოტაში მოყვანილი ფაქტებიდან, რომლებიც ადასტურებენ ირანის არმიაში ამერიკის სამხედრო მრჩეველთა ხელმძღვანელ როლს.

ირანის მთავრობის ცდებთან დაკავშირებით — უარჰყოს ფაქტები, რომლებიც მოყვანილია საბჭოთა მთავრობის 31 იანვრის ნოტაში ირანში ამერიკის სამხედრო მრჩევლების საქმიანობის გამო, საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ ირანის მთავრობა 1941 წელსაც ცდილობდა უარეყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა უცხოელი წარმომადგენლებისა ირანში, მაშინ როცა ეს საქმიანობა საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს წარმოადგენდა.

სინამდვილეს არ შეესაბამება აგრეთვე ირანის მთავრობის მტკიცება, რომ „ამერიკის მთავრობას არავითარ შემთხვევაში მინიჭებული არა აქვს მონოპოლიური უფლება ამერიკის სამხედრო მოხელეების მიერ სახელმძღვანელო პოსტების დასაკავებლად". ირანის მთავრობის ეს მტკიცება აშკარად ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული შეთანხმების 24-ე მუხლს, რომელშიც ნათქვამია: „ამ შეთანხმების მოქმედების ვადის განმავლობაში, ან მისი განგრძობის შემთხვევაში, ირანის მთავრობა სამსახურში არ მიიღებს არავითარ პირს, ვინც რომელიმე სხვა უცხო მთავრობის სამსახურში იმყოფება რაიმე ისეთი მოვალეობის შესასრულებლად, რაც დაკავშირებულია ირანის არმიასთან, თუ ამის თაობაზე შეთანხმება არ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და ირანის მთავრობას შორის". როგორც ამ მუხლიდან სჩანს, ირან-ამერიკის 1947 წლის 6 ოქტომბრის შეთანხმება არათუ გამორიცხავს ირანის არმიაში ხელმძღვანელი პოსტების დაკავების შესაძლებლობას სხვა ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებისათვის, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა, არამედ საერთოდ შესაძლებლობას ართმევს მათ ირანის არმიაში შევიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ თანხმობის განუცხადებლად.

საბჭოთა მთავრობა უარჰყოფს, როგორც ბოროტგანზრახულ მონაგონს, ირანის მთავრობის განცხადებას, თითქოს საბჭოთა წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ ირანის აზერბაიჯანის ამბებში, რომლებიც ნამდვილ მი[illegible] ირანის მთავრობის საშინაო პოლიტიკა.

რაც შეეხება ხსენებულ ნოტაში აღნიშნულ საკითხს საბჭოთა კავშირის მიერ ირანის იმ მოქალაქეებისათვის თავშესაფრის მიცემის შესახებ, რომელთაც ირანის მთავრობა სდევნის მათი დემოკრატიული რწმენისა და მათ მიერ დემოკრატიისა და პროგრესის საქმის დაცვისათვის, საბჭოთა მთავრობა უარჰყოფს ირანის მთავრობის პრეტენზიებს ამ მხრივ, როგორც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულს. იმ უცხოელი მოქალაქეებისათვის თავშესაფრის უფლების მინიჭება, რომლებიც დევნილი არიან მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის, ან სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის, გათვალისწინებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით და ამის შესაბამისად მას იცავს საბჭოთა კავშირი.

ხოლო ირანის მთავრობის მტკიცება, რომ ირანელ პოლიტემიგრანტებს სსრ კავშირში თითქოს ნება ეძლევათ შეადგინონ რაზმები ირანის ტერიტორიაზე შესაჭრელად, ისე როგორც მტკიცება, თითქოს საბჭოთა ტერიტორიაზე არსებობს „ირანელი პოლიტემიგრანტების საიდუმლო რადიოსადგურები", აგრეთვე ეკუთვნის პროვოკაციული ხასიათის ჭორებს. ასეთივე უაზრო ხასიათისაა განცხადებანი საბჭოთა ჯარის ნაწილების რაღაც გადაყვანისა და მანევრების შესახებ, რასაც თითქოს საბჭოთა ჯარები ეწევიან სასაზღვრო პუნქტებში.

ირანის მთავრობის ცდა—ირანის საშინაო საქმეებში ჩარევად დასახოს საბჭოთა მთავრობის 31 იანვრის ნოტა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ირან-ამერიკის 1947 წლის 6 ოქტომბრის შეთანხმება არ შეესაბამება კეთილმეზობლურ ურთიერთობას, არ შეიძლება სხვანაირად იქნას განხილული, თუ არა როგორც მისწრაფება თავი აარიდოს პასუხისმგებლობას ირანის მთავრობის მიერ წარმოებული პოლიტიკისათვის, რომელიც ეწინააღმდეგება დებულებებს კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ, რაც გამოხატულია საბჭოთა კავშირ-ირანის 1921 წლის 26 თებერვლის ხელშეკრულებით.

(საქდესი).

ჩინეთის მთავრობის პროტესტის უარყოფის გამო

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბჭოთა საელჩომ ნანკინში 13 მარტის ნოტით უარჰყო ჩინეთის მთავრობის პროტესტი, რომელიც ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 10 მარტს განაცხადა იმის გამო, რომ 8 მარტს ორმა საბჭოთა სამხედრო თვითმფრინავმა თითქოს სროლა აუტეხა „ს-46" ტიპის თვითმფრინავს, რომელსაც ჩინეთის ხელისუფალნი დაქირავების წესით იყენებენ და რომელიც პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზის რაიონში მიფრინავდა.

18 მარტს საბჭოთა საელჩომ ნანკინში ამ ინციდენტის შესახებ მიიღო ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალი ნოტა, რომელიც შეიცავდა მტკიცებას, რომ აღნიშნულ თვითმფრინავს თითქოს არ გადაუვლია პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზის საზღვარი. ნოტაში აგრეთვე ნათქვამია, რომ ჩინეთი სარგებლობს სრული სუვერენული უფლებებით მანჯურიის მთელი ტერიტორიის მიმართ, აგრეთვე პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზის მიმართაც, და რომ ამიტომ ჩინეთის თვითმფრინავებს უფლება აქვთ თავისუფლად იფრინონ მანჯურიის ყველა რაიონში.

3 აპრილს საბჭოთა საელჩომ ნანკინში საპასუხო ნოტა გაგზავნა, რომელშიც კვლავ აღნიშნულია, რომ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 10 მარტის ნოტაში ნაჩვენები კოორდინატები სინამდვილეს არ შეესაბამება. სინამდვილეს არ შეესაბამება აგრეთვე იმის მტკიცება, რომ აღნიშნულ თვითმფრინავს არ გადაუვლია სამხედრო-საზღვაო ბაზის საზღვარი და არ ყოფილა ამ რაიონის ფარგლებში. თვითმფრინავი, რომელზეც ლაპარაკია, შემჩნეულ იქნა ორი საბჭოთა საგუშაგო თვითმფრინავის მიერ 17 საათსა და 54 წუთზე ჩრდილოეთის განედის 39 გრადუსისა და 03 მინუტის და აღმოსავლეთის გრძედის 121 გრადუსისა და 06 მინუტის წერტილში სამხედრო-საზღვაო ბაზის რაიონის ფარგლებში, ამასთან 17 საათსა და 58 წუთზე თვითმფრინავი იმყოფებოდა ჩრდილოეთის განედის 38 გრადუსისა და 51 მინუტის და აღმოსავლეთის გრძედის 121 გრადუსისა და 03 მინუტის წერტილში, აგრეთვე ბაზის რაიონის ფარგლებში. საბჭოთა საგუშაგო თვითმფრინავებმა, რომლებიც ხსენებულ თვითმფრინავს მისი აღმოჩენის ადგილიდან რამდენიმე წუთის განმავლობაში მიჰყვებოდნენ, ამ თვითმფრინავს არაერთხელ ანიშნეს და მოსთხოვეს გაჰყოლოდა მათ ძირდასაშვებ ადგილისაკენ. ამ განკარგულების შეუსრულებლობის შემდეგ საგუშაგო თვითმფრინავებმა გაფრთხილების ნიშნად ისროლეს, რა წესიც დადგენილია ასეთი შემთხვევისათვის.

საბჭოთა საელჩოს ნოტაში ნათქვამია, რომ საბჭოთა სარდლობა ინფორმირებული არ ყოფილა ზემოაღნიშნული თვითმფრინავის გაფრენის შესახებ, და ამიტომ სამხედრო-საზღვაო ბაზის საზღვრების ფარგლებში უცნობი თვითმფრინავის აღმოჩენისას მიღებულ იქნა ზომები, რომლებიც ჩვეულებრივია ასეთ შემთხვევებში. თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა საგუშაგო თვითმფრინავები, რომლებმაც სამხედრო-საზღვაო ბაზის რაიონის ფარგლებში გამოჩენილ თვითმფრინავს წინადადება მისცეს გაჰყოლოდა მათ ძირდასაშვები ადგილისაკენ, მოქმედებდნენ პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზისათვის დადგენილი წესის თანახმად, რომელიც შეესაბამება რეჟიმს, რასაც ჩვეულებრივ იყენებენ სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ბაზებისათვის. საბჭოთა სარდლობის უფლება, რომ ასეთი წესი დაადგინოს, დამყარებულია პორტ-არტურის შესახებ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 1945 წლის 14 აგვისტოს შეთანხმებაზე, რომლის თანახმად პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზის დაცვა სსრ კავშირის მთავრობას აქვს ჩაბარებული.

ზემოაღნიშნულის გამო სსრ კავშირის საელჩოს ჩინეთში საფუძველს მოკლებულად მიაჩნია ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში განცხადებული პროტესტი.

მსგავსი არასასურველი ინციდენტების განმეორების თავიდან ასაცილებლად საბჭოთა საელჩო სამინისტროს სთხოვს საჭირო მითითებანი მისცეს ჩინეთის სათანადო ხელისუფალთ, რომ მომავალში საბჭოთა სარდლობას პორტ-არტურში წინასწარ აცნობონ ჩინეთის სამოქალაქო თვითმფრინავების განზრახული გაფრენის შესახებ პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზის ტერიტორიაზე ან აქვატორიაზე.

(საქდესი).

ნოვატორი ხარატის ბორტკევიჩის მიბაძვით

დაზგათმშენებლები ჩქარი ჭრის რეჟიმზე გადადიან

ლენინგრადი, 3 აპრილი. (საქდესი). საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ლენინგრადის სვერდლოვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში თავი ისახელა ოსტატ ი. არდოვის უბანმა. ამ უბნის ყველა მუშა გადავიდა ჩქარ ჭრაზე, რაც წუთში 600 მეტრს აღწევს. ცვლის ნორმის ხუთმაგად და ექვსმაგად შესრულება აქ წესად გადაიქცა.

უბნის კოლექტივმა შრომის მაღალ ნაყოფიერებას მაშინ მიაღწია, როცა დაიწყო მუშაობა ამხ. ბორტკევიჩის მეთოდით. სტახანოველმა ნოვატორმა ძირფესვიანად შესცვალა დამკვიდრებული შეხედულება ჭრის პრაქტიკულად შესაძლო რეჟიმების შესახებ. კონუსური კბილანის ხარატული გამოყვანისას ბორტკევიჩმა დღიური დავალებას 13-ჯერ გადააჭარბა.

რაში მდგომარეობს მისი მეთოდი? მუშაობდა რა დაზგაზე, რომელიც წუთში 1.350 ბრუნს აკეთებს, ბორტკევიჩმა გამოიყენა ჭრის უმაგალითო სიჩქარე—7000-მდე ბრუნი წუთში. ინსტრუმენტი, რომელსაც ის იყენებს, აღჭურვილია მაგარი შენადნობის ფირფიტით. საჭრისის ახარატებისას ნოვატორი ერბოქვით უკეთებს მის ნაწიბურს ოდნავ შესამჩნევ ზოლურას, რითაც ადიდებს მის სიმტკიცეს. კონუსური კბილანების შემოჩარხვისას ხარატმა ცენტრული სარგულა შესცვალა შპინდელური სარგულით (ვაზნაში) და ოთხი ოპერაცია შეასრულა ექვსის ნაცვლად.

ბორტკევიჩი ზუსტად მოზომილად და რიტმულად მოძრაობს. ქრონომეტრაჟმა აღნიშნა, რომ ბორტკევიჩი კბილანის ჩარხვისას, თვითეულ ოპერაციას ერთი და იმავე რაოდენობის წამებს ანდომებს.

• • •

როგორც სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სამინისტროს აგრეგატულ დაზგათა მთავარი სამმართველოს უფროსმა ა. ა. პავლოვმა საქდესის კორესპონდენტს განუცხადა, ბორტკევიჩის მეთოდი დაზგათმშენებლებში დიდ ინტერესს იწვევს. ჩქარი ჭრის რეჟიმი, უეჭველია, ფართოდ გავრცელდება.

ბორტკევიჩის მეთოდი რთული არ არის და მისაწვდომია თვითეული კვალიფიციური ხარატისათვის. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ოპერაციების შესრულება ოთხ ცალკეულ დანადგარზე და თვითეული გავლისათვის ცალკეული საჭრისის გამოყენება. ქმედითი აღმოჩნდა საჭრისის ახარატება. სტახანოველი ადიდებს საჭრელი ნაწილის კუთხეს და ამით ზრდის მის მდგრადობას.

ამხ. ბორტკევიჩი ზუსტად ამაგრებს საჭრისებს პირველად დამზადებული დეტალის მიხედვით და ყველა შემდეგ ნაკეთობას ამუშავებს გაუზომავად. მან მიაღწია ნახშირბადიანი ფოლადის კუთხვის სარეკორდო სიჩქარეს: 270 მეტრამდე, ჩვეულებრივი 10 მეტრის ნაცვლად.

ჭრის სიჩქარის რეჟიმმა საშუალება მისცა სტახანოველს ქარხანაში მოქმედი ნორმა 1.700 პროცენტით შეესრულებინა. ის ხუთმაგად აჭარბებს ახლად დაწესებულ ტექნიკურ ნორმებს.

ხარატების გადასვლა ამხ. ბორტკევიჩის მუშაობის მეთოდზე მკვეთრად გაადიდებს მათი შრომის ნაყოფიერებას, ამისათვის საწარმოებში უნდა მოხდეს მოწყობილობის მოდერნიზაცია. უფრო მძლავრი მოტორების დადგმა, ცალკეულ შემთხვევებში სიჩქარეთა ყუთის საკისარების შეცვლა არ გამოიწვევს დიდ ხარჯებს და შეიძლება განახორციელონ სარემონტო საამქროებმა.

ახალი მოძრაობა აგრეთვე მოითხოვს, რომ გადიდებულ იქნას გამოშვება ჩქარმჭრელი დაზგებისა, რომელთა წარმოებასაც ეუფლება ჩვენი მრეწველობა. ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ, კერძოდ, ახალი ტიპის სახარატო-ხრახნსაჭრელ ჩქარ დაზგაზე, რომელიც იძლევა 3.000-მდე ბრუნს წუთში, რის დამზადებაც დაიწყო ქარხანა „წითელმა პროლეტარმა".

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

საწარმოთა მაღალი რენტაბელობისათვის

მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების შესანიშნავმა ინიციატივამ სახელმწიფოსაგან დოტაციის მიღებაზე უარისთქმისა და რენტაბელობის მიღწევის შესახებ საყოველთაო მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა მთელ ჩვენს სამშობლოში.

„ვიბრძოლოთ საწარმოთა მაღალი რენტაბელობისათვის“, — ამ სათაურით ბეჭდავს ფოთის საქალაქო გაზეთი „მგზნებარე კოლხიდელი“ მოწინავე წერილს 26 მარტის ნომერში.

„გასულ წელს,—სწერს გაზეთი, — საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და რენტაბელობისათვის ბრძოლის საუკეთესო ნიმუშები მოგვცეს პურკომბინატის, გემთშემკეთებელი ქარხნის, მაცივრის და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა... მათ საგრძნობლად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, შეამცირეს თვითღირებულება და რამდენიმე ათასი მანეთი დაგროვება მისცეს სამშობლოს“.

„ჩვენი ქალაქის ყველა საწარმო არ არის რენტაბელური. არტელი „პირველი მაისი“ ყოველწლიურად ზარალობს იმის გამო, რომ იქ შრომა არ არის მოწესრიგებული, დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებენ, ვერ იყენებენ მოწინავეთა მუშაობის მეთოდებს“.

გაზეთის ამავე ნომერში რედაქციას ამ საკითხისათვის მთელი გვერდი აქვს მიძღვნილი ანშლაგით: „მივაღწიოთ რენტაბელობას, ვიმუშაოთ უდოტაციოდ“! გვერდში მოთავსებულია მეორე საწარმოო რაიონის უფროსის ს. გუდავაძის, პირველი საწარმოო რაიონის ეკონომისტის ა. ფაღავას, პირველი საწარმოო რაიონის უფროსის გრ. ხორავას, კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელის შ. მოსიძის, ნავსადგურელი სტახანოველების: ვ. სლაბადიანის, შ. ქვიციას, ტ. ბელის, ა. ტოპალსკის და სხვათა წერილები. ისინი მოგვითხრობენ თავიანთ მუშაობაზე და იმ ღონისძიებებზე, რომლითაც შესაძლებელია რენტაბელობის მიღწევა.

განუწყვეტლივ ვზარდოთ ჩაის მოსავლიანობა

საოლქო გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ 31 მარტის ნომერში სწერს, რომ აჭარელმა მეჩაიეებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება 1948 წლის ჩაის უხვი მოსავლისათვის. წერილში — „ჩაის პლანტაციის ყოველი ჰექტარი მაღალმოსავლიანი გავხადოთ“—გაზეთი სწერს:

„გასულ წელთან შედარებით, წელს ბევრ კოლმეურნეობაში იზრდება უხვმოსავლიანი პლანტაციების ფართობები. არის კოლმეურნეობები, რომლებმაც დიდი ხანია უკან მოიტოვეს გეგმით დაწესებული საშუალო საჰექტარო მოსავლის ნორმები და წლეულს ითვალისწინებენ ყველა პლანტაციაში 5 და მეტი ტონა ჩაის მოკრეფას ჰექტარზე“.

გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია მოგვითხრობს ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში ციტრუსოვანთა ახალი სანერგეების გაშენების შესახებ. წერილში მოყვანილი ცნობებით, წელს ქობულეთის რაიონში ჩაი გაშენდება 37,5 ჰექტარზე და ბათუმის რაიონში—28 ჰექტარზე, დაირგვება 2.500.000 ტრიფოლიატის საძირე და დაითესება 3.875 კილოგრამი ტრიფოლიატის თესლი ცოცხალი ღობეებისა და საძირეებისათვის.

მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის

მევენახეობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თელავის რაიონში. მოწინავე მევენახეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვის საპასუხოდ რაიონში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება.

თელავის რაიონული გაზეთი „კოლმეურნის ხმა“ 30 მარტისა და 3 აპრილის ნომრებში ათავსებს განყოფილებას „მოწინავე მევენახეთა მოწოდების პასუხად“. 30 მარტის ნომერში მოთავსებულია ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საკითხებისადმი მიძღვნილი რაიონული თათბირის ანგარიში.

აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ მევენახეობის ბრიგადირი ს. ბლუიშვილი მოგვითხრობს, თუ როგორ მოაწყო ნიადაგის დამუშავება, სასუქის შეტანა და ვაზის შეწამვლა. წერილში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი შრომის ორგანიზაციის საკითხს. ბრიგადირი სწერს:

„რგოლებში დიდ ყურადღებას ვაქცევდით შრომის სწორ ორგანიზაციას. წელს შრომას კიდევ უკეთესად მოვაწყობთ. ნაკვეთები უკვე მივამაგრეთ რგოლებს, რგოლის შიგნით ცალკეული ნაკვეთები დასამუშავებლად მივუჩინეთ კოლმეურნეებს“.

ს. ბლუიშვილი ბრიგადის სახელით ვალდებულებას კისრულობს 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერი ყურძენი მოიყვანოს და სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენთავთავის“ მევენახეობის ბრიგადირს.

პატარა ფელეტონი

მოგზაურობის მოყვარული

ინვალიდთა არტელ „წითელი დუშეთის“ გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ადეიშვილი მოგზაურობის მოყვარულია. კაცმა რომ სთქვას, აქ გასაკვირი არაფერია. მართლაცდა, რა სჯობია ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში გასეირნებას? მით უმეტეს, როცა კაცს საამისო დრო და საშუალება აქვს. კახეთში ნაირნაირი ღვინით დატკბები, ფშავ-ხევსურეთში მცვრიანი მწვადით გაგიმასპინძლდებიან, იმერეთში შემწვარ გოჭსა და ცხელ ხაჭაპურებს მოგართმევენ. მოგზაურობის დროს ახალ ხალხს გაიცნობ, ახალ შთაბეჭდილებას მიიღებ და თანაც ბუნების წიაღში თვალსა და გულს ასიამოვნებ.

აი, სწორედ ამგვარი მოგზაურობა ჩაატარა ამ რამდენიმე ხნის წინათ ნიკოლოზ ადეიშვილმა. ჩვენ ამაზე არაფერს არ ვიტყოდით, რომ ეს ამბავი იმ მელას მოგზაურობას არ მოგვაგონებდეს, რომლის შესახებაც სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების წიგნშია ნაამბობი.

ცნობილია, რომ ეშმაკი მელა ერთხელ ვითომდა სულის საცხონებლად იერუსალიმს გაემგზავრა. „ჩემი დღენი ცოდვაში გავატარე, ამბობდა მელა, ეხლა ჭკუა მოვიხმარე, ეს სოფელი გაუშვი და ბერად შევდეგო“. ამ განცხადებით დამშვიდებულნი: მამალი, ბატი, ძერა და სხვა გულუბრყვილო ფრინველები შეუამხანაგდნენ „ბერს“ და მასთან ერთად გაემგზავრნენ იერუსალიმისაკენ. დრო გავიდა. მოგზაური მელა გზადაგზა მიირთმევდა თავის „თანამგზავრთა“ გემრიელ ხორცს...

ივლისის ერთ მშვენიერ დღეს ნიკოლოზ ადეიშვილიც გაემგზავრა, მაგრამ არა ფეხით, არამედ არტელის ავტომანქანით, არა იერუსალიმისაკენ, არამედ კახეთისაკენ. მანქანის კაბინიდან მოგზაურის წინაშე კახელ კოლმეურნეთა შრომის ლამაზი სურათები იშლებოდა. მზის სხივებში ელავდნენ კოლმეურნეთა ნამგლები, ზღვასავით ღელავდა ბარაქიანი პურის ყანები... ამ სანახაობით დამტკბარი ადეიშვილი ჯერ წითელწყაროს ესტუმრა, შემდეგ კი ლაგოდეხში შეჩერდა. აქ 1.600 კილოგრამი სიმინდი შეიძინა, მართალია, მაშინ მას ამისათვის ნაღდი ფული არ გააჩნდა, მაგრამ მეგობრები ხომ აქაც იყვნენ!

წითელწყაროში თავის მეგობარს — არტელ „მებრძოლის“ გამგეობის თავმჯდომარეს, ტრადიციული პურმარილის შემდეგ, ყალბი აქტი დააწერია, თითქოს „მებრძოლისაგან“ „წითელ დუშეთს“ სიმინდი შეეძინოს. ეს აქტი სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში წარადგინა და აკრედიტივის წესით ნაღდი ფული მიიღო.

სიმინდით დატვირთული მანქანა დუშეთში დაბრუნდა. ადეიშვილმა 600 კილოგრამი სიმინდი არტელის საწყობის შემოსავალში გაატარა, ხოლო დანარჩენი 1.000 კილოგრამი შორ გზას გაუყენა. რომ იტყვიან შავი დღე დაუდგაო, ისე დაემართა არტელის ავტომანქანას. სიმინდით და მხიარული ექსკურსანტებით დატვირთულმა ავტომანქანამ მძიმე ხვნეშით ქართლის ველები გაირბინა, სურამის უღელტეხილს გადაუარა და შემდეგ ზესტაფონს მიადგა. სიმინდის აქაურმა ფასმა ადეიშვილი ვერ დააკმაყოფილა. „მცირე“ პურმარილის შემდეგ „ზესტაფონო გზორდების“ სიმღერით მხიარული მგზავრები კვლავ გზას გაუდგნენ.

უკან დარჩა ზემო იმერეთის ლამაზი პეიზაჟი, ოკჯამეთის ტყეები, მაიაკოვსკის რაიონი, მთები, გორაკები და ათიოდე მდინარე.... ბოლოს დანჯღრეული და არაქათგამოცლილი ავტომანქანა ვანის რაიონში ჩავიდა. დაუღალავი მოგზაურის მისვლა სოფელში ყველამ გაიგო. ადეიშვილის სიმამრმა მშვენიერი სუფრა გაშალა. მეორე დღეს სიმინდი სპეკულანტურ ფასში გაიყიდა. ნასიამოვნები თავმჯდომარე ათიოდე დღის შემდეგ დუშეთში დაბრუნდა. ამ მოგზაურობის შედეგი ასეთია: ადეიშვილს სიამოვნება და რამდენიმე ათასი მანეთი, ავტომანქანას ძნელად მოსარჩენი ავადმყოფობა, ხოლო არტელ „წითელ დუშეთს“ არაფერი.

ისე როგორც მოგზაურ მელას, ადეიშვილსაც ბოროტმოქმედება გაუგეს და არტელის გამგეობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს. მაგრამ ამ უკანასკნელის შემდგომი ისტორია უკვე აღარ ჰგავს ცხონების გზაზე დამდგარი მელას ამბავს. როგორც ცნობილია მელას ეშმაკობა ჩაამწარეს, ხოლო ადეიშვილი ჯერ კიდევ თავისუფლად სეირნობს და ალბათ მორიგი მოგზაურობის მარშრუტს ადგენს...

ა. თოძაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ავამაღლოთ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების სანიტარული კულტურა

ჩვენი პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, სოფლებსა და ქალაქებში სანიტარული კულტურის მტკიცედ დანერგვას. ჯანმრთელობის დაცვის, კერძოდ სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის მუშაკთა წინაშე დგას ამოცანა გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარებით, მოსახლეობის სანიტარული კულტურის ამაღლებით შევამციროთ სხვადასხვა სახის ინფექციური და პროფესიული დაავადებანი, გავაუმჯობესოთ ბავშვებისა და მოზარდების ფიზიკური აღზრდა.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასახლებული ადგილების გაწმენდა-დასუფთავების საქმის კარგად დაყენებას. სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის მუშაკები ადგილობრივი საბჭოების კომუნალურ განყოფილებებთან და მილიციის ორგანოებთან ერთად, წარსული წლების მსგავსად, ახლავე უნდა შეუდგნენ საგაზაფხულო გაწმენდა-დასუფთავების კომპლექსურ სანიტარულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარებას. არ უნდა დარჩეს არცერთი ქალაქი, რაიონული ცენტრი, სამრეწველო საწარმო, მუშათა დაბა, რკინიგზის ტრანსპორტის ტერიტორია, სადაც არ გატარდება ასეთი ღონისძიებანი.

საგაზაფხულო გაწმენდა-დასუფთავების ჩატარების საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ჯანმრთელობის დაცვის აქტივისტებმა — საზოგადოებრივმა სანიტარულმა ინსპექტორებმა, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის წევრებმა და სხვ. ამავე დროს სამედიცინო დარგის მუშაკებს მოეთხოვებათ თავდადებული მუშაობით მიაღწიონ მოსახლეობის დაავადებათა კერების სრულ ლიკვიდაციას, სანიტარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მტკიცედ განხორციელებას, როგორც დაავადებულთა, ისე დაავადების კერების სანიტარულ-დეზინფექციურ დამუშავებას.

რომ თავიდან ავიცილოთ ესა თუ ის დაავადებანი და მათი გავრცელება, მოსახლეობისათვის სავალდებულო უნდა გახდეს პროფილაქტიკური აცრა, როგორც ყველაზე ეფექტიანი ღონისძიება. ქალაქებისა და რაისაბჭოების აღმასკომთა კომუნალური მეურნეობის განყოფილებებს მოეთხოვებათ უზრუნველჰყონ აბანოებისა და სანიტარული გამტარების შეუფერხებელი მუშაობა. სათანადო ორგანოები სერიოზულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ აგრეთვე სამკურნალო დაწესებულებებში ავადმყოფების დროულად გადაყვანას და ავადმყოფებისა და მათთან მყოფ პირთა ნივთების სადეზინფექციო დამუშავებას.

ამას წინათ მოწყობილმა შემოწმებამ გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლებიც ადასტურებენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, აგრეთვე მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტებში სანიტარული მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია. გაწმენდა-დასუფთავების კანტორების ტრანსპორტი, უმთავრესად სიმცირის გამო, ვერ უზრუნველჰყოფს ნაგვისა და თხევადი უსუფთაობის დროულ გატანას. ყველგან არ არის ნაგვის ყუთები, თითქმის 50 პროცენტით არ არის დაკომპლექტებული მეეზოვეთა, დამლაგებელთა და მზიდავთა შემადგენლობა. ამ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად და რესპუბლიკაში სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო სანიტარულმა ინსპექციამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. ეს ღონისძიებანი ითვალისწინებენ მიმდინარე წლის აპრილ-მაისში მოეწყოს ქალაქების, რაიონული ცენტრების, დიდი დასახლებული პუნქტების, საწარმოების, ახალმშენებლობათა, რკინიგზის სადგურებისა და ნავსადგურების საგაზაფხულო გაწმენდა-დასუფთავება მაგარი და თხევადი ნაგვისა და ნაყარისაგან. ეჭვი არ არის, ეს ღონისძიება დიდ როლს შეასრულებს სანიტარული წესრიგის დამყარების საქმეში.

სოფლად სანიტარული კულტურის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობის საკითხს. მაგრამ ამ საქმეს მთელ რიგ რაიონებში სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ. გასული წლის დამლევს ბორჯომის, მაიაკოვსკის, ვანის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, ონის, თეთრი წყაროს, ჩოხატაურის, საჩხერის, ხაშურის, ქუთაისის, წითელწყაროს, ზესტაფონის, ამბროლაურის, გორის და ზოგიერთ სხვა რაიონებს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ დაუგზავნა აბანოების მშენებლობისათვის სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა და პროექტები. ამ რაიონებმა კი ვერ შესძლეს, რომ თავის დროზე გამოესყიდათ ისინი და დაეწყოთ აბანოების მშენებლობა, რის შედეგადაც გეგმა არ იქნა შესრულებული. ასეთი მდგომარეობა შემდეგში აღარ უნდა იქნას დაშვებული.

სანიტარული კულტურისათვის ბრძოლა მარტო სამედიცინო დარგის მუშაკებს როდი ეხებათ. მასში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების, კომუნალური მეურნეობის დარგის მუშაკებმა და მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ. ჩვენი სოფლებისა და ქალაქების სანიტარული კულტურის გადაჭრით ამაღლება ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა ამ ეტაპზე. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა ღირსების საქმეა პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა განხორციელებისათვის თავდადებული ბრძოლა, ჩვენი ქვეყნის სანიტარული კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის ყოველგვარი პირობების შექმნა.

ი. ფრანგულიანი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე და მთავარი სახელმწიფო სანიტარული ინსპექტორი

აღმოჩენილია დავით გურამიშვილის საფლავი

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალურმა კომისიამ საბოლოოდ დაადგინა ადგილი, სადაც დაკრძალულია საქართველოს ერთ-ერთი დიდი პოეტი — დავით გურამიშვილი, რომელიც გარდაიცვალა უკრაინაში 156 წლის წინათ. ამ საფლავის აღმოსაჩენად დიდი ხანია მუშაობენ საქართველოსა და უკრაინის მეცნიერები.

გურამიშვილის საფლავი არის ქალაქ მირგოროდის განაპირა უბანში სოროჩინის და პოლტავის ქუჩების გზაჯვარედინზე, ძველ სასაფლაოზე — გზასთან.

უკრაინის სსრ მთავრობის კომისიის წევრი მწერალი ვ. კუჩერა გვიამბობს იმ დიდ მეცნიერულ კვლევაზე, რის შედეგადაც აღმოჩენილ იქნა ეს საფლავი.

წიგნში „დავითიანი“ არის ლექსი „ზუბოვკა“. ხელნაწერში, რომელიც გამოგზავნილი იყო საქართველოში, ავტორს ერთ-ერთ გვერდზე მოუთავსებია სოფელ ზუბოვკის მელიორაციის გეგმა. იმდროინდელ რუკებზე ეს სოფელი აღნიშნული იყო ერთ ადგილას— მირგოროდთან. შემდეგ პოლტავის არქივში ნახეს მირგოროდის მაზრის 1783 წლის „სარევიზიო სია“, რომელშიც აღნიშნულია, რომ სოფელი ზუბოვკა შედის „ყოფილ პორუჩიკის თავად დ. გურამიშვილის მფლობელობაში“. ამრიგად, დადგენილ იქნა, რომ პოეტის საცხოვრებელი ადგილი იყო მირგოროდი.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში დარჩენილია მიცვალებულთა წიგნის ფურცლების ფოტოპირები, რაც იპოვნეს ქალაქ ლუბენსკის მუზეუმში ომის წინ. ამ წიგნში პირველ გვერდზე დაწერილია: „მირგოროდის მიძინების ტაძრის მეტრიკული წიგნი მიცვალებულებზე“. 33-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ 1792 წლის 21 ივლისს გარდაიცვალა თავადი დავით გურამიშვილი, 95 წლის ასაკში.

ამრიგად, დადგენილია დავით გურამიშვილის საფლავის ადგილიც და გარდაცვალების წელიც.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებმა—მთავრობის სპეციალური კომისიის წევრებმა სპეციალური აქტით დაადასტურეს ადგილი, სადაც დაკრძალულია დიდი ქართველი პოეტი.

დავით გურამიშვილის საფლავზე დადგმული იქნება ძეგლი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მექანიზატორთა კადრების მომზადება მეტ ყურადღებას მოითხოვს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 11 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი იყო მეთაური წერილი. ამავე საკითხზე „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა კორესპონდენციები 16 იანვარს—ველისციხის მექანიზატორთა სკოლის, ხოლო 11 თებერვალს —წულუკიძის მექანიზაციის ტექნიკუმისა და სკოლის სუსტ მუშაობაზე.

ამ მასალებთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. შავდია გვატყობინებს, რომ გაზეთის ფურცლებზე მხილებული ნაკლოვანებები სავსებით სწორია. შესწავლილია მდგომარეობა ადგილებზე და მიღებულია საჭირო ზომები. ბრძანებით დამტკიცებულია მტს-ებთან მოქმედი კურსების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა შემადგენლობა. კურსები მთლიანად უზრუნველყოფილია ყველა პროფილის სასწავლო პროგრამებით. გაძლიერებული ტემპით სწარმოებს სასწავლო მასალების ქართულად თარგმნა, გამრავლება და ადგილებზე დაგზავნა.

მექანიზაციის სკოლებს მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის გადაეცათ სხვადასხვა სახის ლითონმჭრელი 11 დაზგა, 2 კომბაინი „კომუნარი“, სხვადასხვა მარკის 5 ტრაქტორი, სამ-სამი ცალი ტრაქტორის გუთანი, კულტივატორი და სათესი, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები; საერთო საცხოვრებლის მოსაწყობად გამოყოფილია თეთრეული.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე დასმულია საკითხი სკოლებისათვის ახალი მარკის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ცენტრალიზებული წესით გამოყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყველა ზომას მიიღებს იმისათვის, რომ მექანიზატორთა კადრების მომზადება გაუმჯობესდეს და გაძლიერდეს.

საკურორტო სეზონის წინ

საზაფხულო სეზონი საქართველოს კურორტებზე წელს 1 ივნისს იწყება. დამსვენებელთა კულტურული დასვენების უზრუნველსაყოფად კურორტებზე უკვე გაჩაღებულია მოსამზადებელი მუშაობა. რესპუბლიკაში წელს იმუშავებს 22 კურორტი. გარდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარი სამმართველოს, საუწყებო სანატორიუმებისა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სისტემის სანატორიუმებისა იმუშავებს აგრეთვე 46 სანატორიუმი, 2 პანსიონატი, 7 სასტუმრო. წელს გაიხსნება ახალი სანატორიუმები წყალტუბოში, ტბერდაში, ახალ ათონში, ქობულეთში, ბორჯომში, ბაკურიანში და სხვა, სადაც ყოველთვიურად დაისვენებს და იმკურნალებს 6.000-ზე მეტი კაცი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კურორტების კეთილმოწყობას. წესრიგზე იქნება მოყვანილი სანატორიუმების პარკები, გზები, წყალსადენის, ელექტროგადაცემისა და კანალიზაციის ქსელი. ზღვისპირა კურორტებზე ახლად აიგება პლიაჟები.

მოაგარაკეთა უკეთ მომსახურების მიზნით წელს ყველა კურორტზე იმუშავებს კინო, ესტრადა, ბიბლიოთეკები.

უკეთესად მოვაწყოთ „მშთ“ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადება

ფიზიკური კულტურა მშრომელთა ფართო მასების კულტურული აღზრდისა და გაჯანსაღების განუყოფელი ნაწილია. იგი დიდ როლს ასრულებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეშიც. სსრ კავშირის ფიზკულტურელთა მრავალმილიონიანი არმია ჩვენი ძლევამოსილი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესანიშნავი რეზერვია.

ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის საფუძველს წარმოადგენს კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“. ეს ის ძლავრი იარაღია, რომლის შემწეობითაც ფიზკულტურულ-სასპორტო ორგანიზაციები მასობრივ მუშაობას ეწევიან სოციალისტური საზოგადოების აქტიური მშენებლებისა და საბჭოთა სახელმწიფოს თავდადებულ დამცველთა აღსაზრდელად. საქართველოს სსრ ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის მშრომელთა ფართო ფენებში „მშთ“ კომპლექსის დასანერგავად. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში 273.000-ზე მეტმა მოსწავლემ და ახალგაზრდამ შეისწავლა და ჩააბარა „მშთ“ და „იმშთ“ ნორმები. მრავალი მათგანი სხვადასხვა სახის სპორტის თანრიგოსანი, რეკორდსმენი და სპორტის ოსტატია. მაგრამ ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, 1942-1944 წლებთან შედარებით, „მშთ“ და „იმშთ“ ნიშნოსანთა მომზადებაში ჩაბმულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მაშინ როცა 1942-1944 წლების მანძილზე მომზადებულ იქნა 155 ათასზე მეტი კაცი, 1945-1947 წლებში მომზადებულია მხოლოდ 118 ათასი ანუ 37.000 კაცით ნაკლები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა „მშთ“ და „იმშთ“ ნიშნოსანთა მომზადებისათვის განსაკუთრებით ჩამორჩება სოფლად, კერძოდ, ახმეტის, ახალციხის, დმანისის, ჩხარის, ქვემო სვანეთის, ხობის, ბორჯომის, გურჯაანის, ზესტაფონის, მარნეულის, თელავის, ლანჩხუთის და მთელ რიგ სხვა რაიონებში. მაგალითად, ლანჩხუთისა და ჩხარის რაიონების კოლმეურნეობებში 1947 წელს „მშთ“ ნორმები არც ერთ კაცს არ ჩაუბარებია. ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებში 25 „მშთ“ ნიშნოსანი უნდა მოემზადებინათ. ფაქტიურად ეს მცირე გეგმაც არ არის შესრულებული.

ასეთი ჩამორჩენის მთავარი მიზეზი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა ზოგიერთ კომიტეტს, აგრეთვე ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებებს არადამაკმაყოფილებლად აქვთ დაყენებული „მშთ“ კომპლექსის პროპაგანდა მოსახლეობის ფართო ფენებში. ფიზკულტურის კომიტეტები და პროფკავშირების ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებები ჩამოშორდნენ „მშთ“ და „იმშთ“ ნიშნოსანთა მომზადების მუშაობის დაგეგმვას და ფიზკულტურის ძირეული რგოლების საქმიანობას სათანადო კონტროლს არ უწევენ. ისინი მექანიკურად აჯამებენ ფიზკულტურული კოლექტივებისაგან მიღებულ ეგრეთწოდებულ თვითვალდებულებებს, რომლებიც ხშირად უაღრესად შემცირებულია და ამით ამოსწურავენ თავიანთ მუშაობას ამ დარგში. საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების სამხედრო განყოფილებები საკმაო ყურადღებას არ უთმობენ კომპლექსის დარგში მუშაობის მოწყობას, სუსტად ახორციელებენ ამ დარგში ფიზკულტურული ორგანიზაციების მოქმედებისადმი კონტროლს და სათანადო დახმარებას არ უწევენ მათ მუშაობაში. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ მრავალი ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს „მშთ“ და „იმშთ“ კომპლექსის საკითხებზე. მათ შეანელეს ორგანიზატორული მუშაობა კომკავშირელებისა, კავშირგარეშე ახალგაზრდობისა და მოსწავლეების მიერ „მშთ“ და „იმშთ“ ნიშნებზე ნორმების მასობრივი ჩაბარებისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ ფიზკულტურულ-სასპორტო ორგანიზაციებში „მშთ“ ნორმების ჩასაბარებლად მშრომელთა მომზადებისათვის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებაში დასახულია მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. საქართველოს ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა განუხრელად განახორციელონ ეს დადგენილება, რათა ძირიანად გავაუმჯობესოთ მუშაობა „მშთ“ და „იმშთ“ კომპლექსის დარგში. პირველ რიგში უნდა აღმოიფხვრას თვითდინება ნიშნოსანთა მომზადებისადმი ხელმძღვანელობაში და უზრუნველყოფილ იქნას მტკიცე გეგმიანობა როგორც ქალაქად, ისე სოფლად. საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ მასობრივი მუშაობა „მშთ“ და „იმშთ“ კომპლექსის პროპაგანდისათვის საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამ მიზნით რეგულარულად უნდა მოეწყოს ლექციები, მოხსენებები და საუბრები „მშთ“ კომპლექსის შესახებ. მიზანშეწონილია სისტემატურად ეწყობოდეს ახალგაზრდობისა და მოსწავლეების მიერ „მშთ“ და „იმშთ“ ნორმების მასობრივი ჩაბარებისადმი მიძღვნილი დღესასწაული, სასპორტო კინოფილმების დემონსტრაცია, მხატვრული პლაკატების გამოცემა და გავრცელება და სხვ. კომპლექსის კარგად ორგანიზებული პროპაგანდა იმის საწინდარია, რომ მშრომელთა ფართო ფენები წარმატებით იქნებიან ჩაბმულნი „მშთ“ ნორმების ჩაბარებაში, გაძლიერდება ფიზკულტურული მოძრაობა და ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელთა სასპორტო-ტექნიკური ოსტატობა.

საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მიმდინარე წელს უნდა მოამზადონ „მშთ“ და „იმშთ“ 56.000-ზე მეტი ნიშნოსანი. ეს სერიოზული სახელმწიფოებრივი ამოცანაა და ფიზკულტურისა და სპორტის თვითეული კომიტეტისაგან, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებისა და ძირეული ფიზკულტურული კოლექტივისაგან მოითხოვს სისტემატურ, ოპერატიულ მუშაობას, „მშთ“ ნორმების ჩასაბარებლად მშრომელთა მომზადების ხარისხისადმი მტკიცე კონტროლს, ამ საქმეში შტატის და საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, ფიზიკური კულტურის მასწავლებლების, მწვრთნელებისა და სპორტის ოსტატების ფართოდ ჩაბმას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს ფიზკულტურულ-სასპორტო ორგანიზაციებისაგან მოითხოვა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ გაძლიერდეს დახმარება ფიზიკური კულტურის საკოლმეურნეო კოლექტივებისადმი „მშთ“ კომპლექსში სოფლის ახალგაზრდობის მომზადების მოსაწყობად. ამ მიზნით ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა, აგრეთვე ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების საბჭოებმა ქალაქებიდან და რაიონული ცენტრებიდან რეგულარულად უნდა გზავნონ სოფლებში ფიზიკური კულტურის ინსტრუქტორები და მასწავლებლები „მშთ“ ნორმების ჩასაბარებლად და კომპლექსის პროპაგანდის მოსაწყობად; მოაწყონ ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციების ფართო შეფობა სოფლის ორგანიზაციებისადმი.

„მშთ“ და „იმშთ“ ნიშნოსანთა მომზადებაში ჩამორჩენასთან ერთად, ჩვენს რესპუბლიკაში სუსტია მასობრივ-ორგანიზატორული მუშაობა თანრიგოსანთა მომზადების მხრივაც.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა კონკრეტული ამოცანა დაუსახა რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს—უახლოეს ხანში ძირფესვიანად გააუმჯობესონ მუშაობა თანრიგოსან სპორტსმენთა აღსაზრდელად, უზრუნველჰყონ, რომ 1948 წელს მომზადებულ იქნას სულ ცოტა 6 ათასი თანრიგოსანი სპორტსმენი. ამასთან ერთად საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა „ძველმა“ და ახლადმომზადებულმა თანრიგოსანმა ჩააბაროს ნორმები „მშთ“ I და II საფეხურის ნიშანზე. უამისოდ თვითეული თანრიგოსანის სასპორტო-ტექნიკური ოსტატობის შემდგომი ზრდა გაძნელდება, ხოლო ის სპორტსმენები, რომელთაც „მშთ“ II საფეხურის ნიშანი არ ექნებათ, მონაწილეობას ვერ მიიღებენ სრულიად საკავშირო სასპორტო შეჯიბრებებში.

განსაკუთრებით დიდი და საპატიო ლენინურ-სტალინური კომკავშირის როლი საერთო მასობრივი ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობის გაძლიერების, კერძოდ, „მშთ“ კომპლექსის პროპაგანდისა და მასობრივი დანერგვის დარგში. პირველ რიგში თვითეულმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ უნდა მოაწყოს „მშთ“ I და II საფეხურის ნიშნების ნორმების მასობრივი ჩაბარება კომკავშირელთა შორის. თვითეული კომკავშირელი, რომელიც „მშთ“ ნორმებს აბარებს, მოვალეა პირადი მაგალითით გაიყოლიოს კავშირგარეშე ახალგაზრდობა.

პარტიული ორგანიზაციები სერიოზული ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ „მშთ“ და „იმშთ“ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების საქმეს. საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების სამხედრო განყოფილებები მოვალენი არიან სისტემატურად ადევნონ თვალყური ფიზკულტურულ-სასპორტო ორგანიზაციების საქმიანობას და კონკრეტული დახმარება გაუწიონ მათ კომპლექსის მასობრივი პროპაგანდის მოწყობის და „მშთ“ და „იმშთ“ ნიშნებზე ნორმების ჩაბარებაში მშრომელთა და მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმის საქმეში.

საქართველოს სსრ ფიზკულტურულ-სასპორტო ორგანიზაციებს ყველა საჭირო პირობა აქვთ, რომ ძირეულად გააუმჯობესონ მუშაობა „მშთ“ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებისათვის და ამ საფუძველზე მიაღწიონ იმას, რომ უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა ჩვენს რესპუბლიკაში.

ა. ბონდარევი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგე

უნგრეთის განთავისუფლების მესამე წლისთავი

ბუდაპეშტი, 3 აპრილი. (საქინფორმ). 4 აპრილს უნგრელი ხალხი აღნიშნავს თავისი ისტორიის დიდმნიშვნელოვან თარიღს — ფაშისტური მონობისაგან უნგრეთის განთავისუფლების დღეს. ამ დღეს სამი წლის წინათ საბჭოთა არმიამ უნგრეთის ტერიტორიიდან განდევნა გერმანელ ფაშისტთა ჯარების უკანასკნელი ნაშთები, რის შედეგადაც უნგრეთმა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი მოიპოვა.

ამ სამი წლის განმავლობაში უნგრეთმა დიდი გზა განვლო. დემოკრატიულ გარდაქმნათა შედეგად ძირფესვიანად შეიცვალა უნგრეთის პოლიტიკური სახე, განმტკიცდა მისი ეკონომიური საფუძველი, ამაღლდა მშრომელთა ყველა ფენის ცხოვრების დონე.

უნგრეთის მთავრობის პირველი დემოკრატიული ღონისძიება იყო მიწის რეფორმის გატარება, რის შედეგადაც ღარიბებს გლეხებს შორის განაწილდა მემამულეთა მიწა 5,5 მილიონი ჰოლდის (ჰოლდი — 0,57 ჰექტარი) რაოდენობით. უნგრეთის ახალგაზრდა დემოკრატიის მეორე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო ქვანახშირის შახტების ნაციონალიზაცია.

დიდი ელექტროსადგურების, ბანკების, ბოქსიტების მრეწველობის და, ბოლოს, ყველა იმ სამრეწველო საწარმოს ნაციონალიზაცია, რომლებშიც 100 და მეტი მუშა მუშაობს, ნიშნავდა სახალხო დემოკრატიის ეკონომიური საფუძვლების შემდგომ განმტკიცებას.

ყველა ამ რეფორმამ შესაძლებელი გახადა მეურნეობის გეგმიანად წარმოებაზე გადასვლა. გასული წლის აგვისტოდან უნგრეთში უკვე ხორციელდება სამწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმა, რომელიც დღეს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს. ეს უნგ-

...

დიტებულ მთელ რიგ უცხოეთის მისიათა მეთაურები და თანამშრომლები.

ტრიბუნის მარცხნივ ოთხკუთხედად ჩამწკრივებულან საბჭოთა მეომრები, რომლებიც დღესასწაულზე ჩამოვიდნენ ვენიდან. მათ რიგებს დაჰფრიალებს ორასზე მეტი ისტორიული უნგრული დროშა, რომლებიც აქ ჩამოიტანეს, რათა საზეიმოდ გადასცენ უნგრეთს.

10 საათზე პრემიერ-მინისტრის მოადგილე არჰად საკაშიჩი მთავრობის სახელით ხსნის მიტინგს. დამსწრეთა ტაშის გრიალში იგი მესალმება საბჭოთა არმიის დელეგაციას გენერალ-პოლკოვნიკ კურასოვის მეთაურობით.

1945 წლის აპრილი, — სთქვა საკაშიჩმა, — სამუდამოდ დარჩება უნგრელი ხალხის ხსოვნაში, როგორც მისი ისტორიის ყველაზე ნათელი თარიღი. ამ დღეს სამი წლის წინათ ჩვენ სამუდამოდ გავთავისუფლდით ფაშისტური მონობისაგან, შესაძლებლობა მივიღეთ აღვადგინა ჩვენი ქვეყანა. ეს გააკეთა მძლავრმა საბჭოთა არმიამ, რომელიც აქ მოვიდა არა როგორც დამპყრობი, არამედ როგორც უნგრელი ხალხის მეგობარი.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკის პრეზიდენტი ზოლტან ტილდი.

დიდი სიხარული და აღფრთოვანება ავსებს ჩვენს გულს, — სთქვა პრეზიდენტმა, — როცა ვიგონებთ, თუ როგორ განდევნა საბოლოოდ ჩვენი ტერიტორიიდან ჰიტლერული ურდოები გმირმა საბჭოთა არმიამ. საბჭოთა კავშირმა გაათავისუფლა ჩვენი მიწა-წყალი და შესაძლებლობა მოგვცა ვაშენოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო. გენიალურმა მხედართმთავარმა გენერალისიმუსმა სტალინმა, ფაშიზმის წინააღმდეგ დიდმა მებრძოლმა, თავისუფლება მოგვცა

...

წარმატებებით, როგორც თავისი ბედიღბლის ერთადერთი და სრულუფლებიანი განმგებელი.

ბუდაპეშტი, 4 აპრილი. (საქინფორმ). დღეს მთელმა უნგრეთმა ზეიმით აღნიშნა საბჭოთა არმიის მიერ გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან უნგრეთის განთავისუფლების მესამე წლისთავი.

დილით ბუდაპეშტში, გმირების მოედანზე — სახალხო დემონსტრაციების ტრადიციულ ადგილას — ჩამწკრივდნენ უნგრეთის არმიის ქვედანაყოფები, შეიკრიბა დიდი ბუდაპეშტის მშრომელთა დიდი რაოდენობა. ტრიბუნაზე არიან რესპუბლიკის პრეზიდენტი ზოლტან ტილდი, მთავრობის წევრები, პარლამენტის დეპუტატები, პარტიების, პროფკავშირებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ლიდერები, საბჭოთა უმაღლესი კომისარი ავსტრიაში გენერალ-პოლკოვნიკი კურასოვი, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთში გ. მ. პუშკინი, ბუდაპეშტში აკრე-

...

იყვნენ ჩამწკრივებულნი ქუჩების ორივე მხარეს.

შუადღისას თავისუფლების მოედანზე მოხდა უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა გმირების ძეგლის საზეიმო შემკობა გვირგვინებით.

ნაშუადღევს თავდაცვის მინისტრმა პეტერ ვერეშმა სადილი გამართა უნგრეთის განთავისუფლების დღესასწაულის პატივსაცემად. საღამოს საოპერო თეატრში გაიმართა საზეიმო წარმოდგენა.

დიდი დღესასწაული მოეწყო დღეს აგრეთვე უნგრეთის პროვინციის ქალაქებსა და სოფლებში. ქალაქ შაროშ პატოკში დღესასწაულზე სხვა რაიონებიდან ჩამოვიდა ათიათასობით მუშა და გლეხი. აქ ვრცელი სიტყვით გამოვიდა უნგრეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მატიას რაკოში.

კომპარტიის ვენის ორგანიზაციის ყრილობაზე

ვენა. 4 აპრილი. (საქინფორმ). გაიხსნა ავსტრიის კომუნისტური პარტიის ვენის ორგანიზაციის ყრილობა. ავსტრიის კომპარტიის გენერალური მდივანი ფიურნბერგი თავის სიტყვაში შეჩერდა ავსტრიაში ანტიკომუნისტურ კამპანიაზე. კომუნისტთა აღვირახსნილ დევნას, — ხაზგასმით აღნიშნა ფიურნბერგმა, — სათავეში უდგას ავსტრიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ კოპლენიგმა, რომელიც გუშინ ყრილობაზე გამოვიდა, განაცხადა, რომ თვითეული პოლიტიკურად შეგნებული რიგითი სოციალისტი მუშა ან ფუნქციონერი მეტად შეშფოთებულია და ეჭვი შეაქვს თავისი პარტიული ხელმძღვანელობის პოლიტიკის სისწორეში, ხელმძღვანელობისა, რომელიც ესოდენ უსიტყვოდ თანხმდება ბურჟუაზიულ სახალხო პარტიასთან კოალიციაზე.

კოპლენიგმა მაგალითებით ცხადჰყო, რომ სოციალისტების ეს კოალიციური პოლიტიკა იწვევს უმუშევრობას, რეალური ხელფასის შემცირებას და აბრკოლებს ავსტრიის აღდგენას. კოპლენიგმა განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა ავსტრიისათვის საშიშროება „მარშალის გეგმისა", რომელსაც სოციალისტები მხარს უჭერენ.

კოპლენიგმა აღნიშნა, რომ სოციალისტური პარტიის რიგითი წევრები, განსაკუთრებით მუშები, სულ უფრო შორდებიან თავის ხელმძღვანელობას. მათი ნაწილი აშკარად სწყვეტს კავშირს სოციალისტურ პარტიასთან, რათა კომუნისტთა რიგებში გადავიდეს.

ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ავსტრიის კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილემ ჰონერმა.

ჩეხოსლოვაკიის უშიშროების ორგანოების ცნობა

პრაღა, 4 აპრილი. (საქინფორმ). ...

პრესისა და ინფორმაციის თავისუფლების საკითხთა საერთაშორისო კონფერენცია

ჟენევა, 3 აპრილი. (საქინფორმ). ...

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს სხდომა

პარიზი, 3 აპრილი. (საქინფორმ). გაზეთ „ლუმანიტეში" გამოქვეყნებულია რეზოლუცია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროსი, რომელსაც 1 აპრილს სხდომა ჰქონდა მორის ტორეზის თავმჯდომარეობით. ...

თა გაყიდული თავისუფალია, შეიძლება მხოლოდ მოტყუება აღმოჩნდეს. ...

... სახლეობის იმ მიტინგისათვის მზადების შესახებ, რომელიც 18 აპრილს შესდგება.

უოლესის გამოსვლის ჩაშლის ცდა

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. (საქინფორმ). ამ დღეებში ბრბო, რომელიც მეტწილად ომის ვეტერან კათოლიკეთაგან შესდგებოდა, შეეცადა ჩაეშალა მიტინგი ბრუკლინში (ნიუ-იორკის რაიონი), სადაც პრეზიდენტობის კანდიდატი უოლესი გამოდიოდა.

სამხედრო ფორმით გამოწყობილმა პირებმა მწყობრად ჩაუარეს იმ სკოლის შენობას, სადაც უოლესის 1.500 მომხრე მიტინგის დაწყებას ელოდებოდა. ეს პირები გაიძახოდნენ: „ძირს უოლესი, დახვრიტეთ კომუნისტები". შემდეგ ისინი შეეცადნენ შეჭრილიყვნენ აუდიტორიაში, ილანძღებოდნენ და კარებსა და ფანჯრებზე აბრახუნებდნენ. თუმცა ამას ასზე მეტი პოლიციელი დაესწრო, მაგრამ მათ ხელი არ შეუშლიათ ხულიგნებისათვის.

მაგრამ უოლესის გამოსვლის ჩაშლის ცდა ამაო გამოდგა. მიტინგის დამსწრენი მქუხარედ მიესალმნენ უოლესს და მხურვალედ უკრავდნენ ტაშს მის სიტყვას, განსაკუთრებით, როცა მან მოითხოვა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა შესწყვიტოს იტალიის არჩევნებში ჩარევა.

მეორე მიტინგს ბრუკლინში 3 ათასზე მეტი კაცი დაესწრო, რომლებიც აუდიტორიაში ვერ მოთავსდნენ. ასობით ადამიანი უოლესის გამოსვლას ისმენდა ბულვარებზე დადგმული ხმამაღლამოლაპარაკეებით. ომის ვეტერანთა უოლესის მომხრე დიდმა ჯგუფმა, ფორმით გამოწყობილმა, უოლესი მიაცილა აუდიტორიამდე, სადაც შემდეგ მას გადასცა პაკეტი. პაკეტი შეიცავდა ომის ვეტერანთა მრავალ ათას ხელმოწერას, რომლებმაც იკისრეს უოლესისათვის მხარდაჭერა.

ამოქმედდა ტაფტ-ჰარტლის კანონი

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. (საქინფორმ). გამომცემლებმა გასტეხეს წინააღმდეგობა ამერიკის შრომის ფედერაციის სტამბის მუშათა პროფკავშირისა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში ბრძოლას ეწეოდა ტაფტ-ჰარტლის კანონის იმ მუხლის წინააღმდეგ, რაც კრძალავს სამუშაოზე მარტო პროფკავშირის წევრების დაქირავებას. ამ ბრძოლას მნიშვნელობა ჰქონდა ყველა პროფკავშირისათვის, რამდენადაც მისი შედეგი ნიშნავდა ან პროფკავშირების, ან მეწარმეთა გამარჯვებას. როგორც ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებულ შტატებში სტამბის მუშათა გაფიცვამ მნიშვნელოვანი მასშტაბი მიიღო. ჩიკაგოში გაფიცული იყო 1.700 ასოთამწყობი. ნიუ-იორკში გაფიცული იყო წიგნებისა და ჟურნალების სტამბების 2.500 ასოთამწყობი, განზრახული იყო ამ პროფკავშირის გაფიცვები მთელ რიგ სხვა ქალაქებში. გამომცემლებმა პროფკავშირები სასამართლო პასუხისგებაში მისცეს ტაფტ-ჰარტლის კანონის საფუძველზე. ამის შემდეგ სტამბის მუშათა პროფკავშირმა, რომელსაც დახმარება არა ჰქონია სხვა პროფკავშირების მხრივ, კაპიტულაცია მოახდინა გამომცემელთა წინაშე.

თავის დროზე საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის აღმასრულებელმა კომიტეტმა განაცხადა: „ამერიკის შრომის ფედერაციის სტამბის მუშათა პროფკავშირის სასამართლო დევნა წარმოადგენს შრომის კონფლიქტთა სამმართველოს გენერალურ იურისკონსულტ დენჰემთან ყველაზე უფრო რეაქციული მრეწველების თანამშრომლობის საკვირველ სანახაობას. ამ თანამშრომლობის მიზანია გაანადგურონ ასოთამწყობთა გაფიცვები და მოსპონ ეს პროფკავშირი. გაფიცულ ასოთამწყობთა წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებანი ცხადჰყოფენ, რომ ტაფტ-ჰარტლის კანონი მუშათა წინააღმდეგ ბრძოლის იარაღია. სამმართველოს გენერალური იურისკონსულტი ჩვენს ქვეყანაში მთავარი შტრაიკბრეხერი ხდება".

„მესამე პარტიის შექმნის საკითხის ეროვნული კომიტეტის" წევრმა ფიცჯერალდმა სტამბის მუშათა პროფკავშირის მიმართ ასეთი ძალადობა დაახასიათა როგორც „მუშათა წინააღმდეგ ერთ-ერთი პირველი გალაშქრება ტაფტ-ჰარტლის კანონის დახმარებით და როგორც პროფკავშირთა სასამართლო დევნის განახლება. ეს არის დასაწყისი კამპანიისა ყველა მუშათა წინააღმდეგ, რომლებმაც უნდა გააძლიერონ ბრძოლა ტაფტ-ჰარტლის კანონის წინააღმდეგ".

ტრუმენის მიმართვა კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 3 აპრილი. (საქინფორმ). პრეზიდენტმა ტრუმენმა კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომლითაც აუწყებს მას გადასახადთა შემცირების კანონპროექტზე ვეტოს დადებას.

უკანასკნელ წელს ტრუმენი უკვე მესამეჯერ ადებს ვეტოს ჯერ კიდევ ომიანობის დროს დაწესებული დიდი გადასახადების შემცირების კანონპროექტებს. წინანდელ შემთხვევებში გადასახადთა შემცირების მომხრეებმა ვერ შესძლეს ხმის ორი მესამედის მიღება, რაც საჭიროა ვეტოს უარსაყოფად, მაგრამ ამჟამად რესპუბლიკელი ლიდერები დარწმუნებული არიან, რომ ამჯერად ისინი მოახერხებენ ტრუმენის ვეტოს უარყოფას.

ჩინეთის შეიარაღებული რაზმის შეჭრა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე

ულან-ბატორი, 3 აპრილი. (საქინფორმ). გუშინ გაზეთმა „უნენმა" გამოაქვეყნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი ცნობა:

1948 წლის 29 თებერვალს ჩინეთის შეიარაღებული რაზმი 70-ზე მეტი კავალერისტის რაოდენობით ხელახლა დაესხა თავს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო დაცვას იხე ხაბტაგ ნურუს მთაგრეხილის რაიონში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაში შემოიჭრა 80 კილომეტრზე და გაძარცვა კობდოსის აიმატის ალტაი სომონის მოსახლეობა. მონღოლეთის სასაზღვრო დაცვის მიერ მიღებული ღონისძიებებით ჩინეთის რაზმი განდევნილ იქნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიიდან. ჩინელმა ჯარისკაცებმა ამ ახალი შეიარაღებული თავდასხმის დროს მოჰკლეს ერთი და დასჭრეს რამდენიმე არატი მესაქონლე, გაიტაცეს 26 აქლემი და 50 ცხვარი, რომლებიც არატებს ეკუთვნოდა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ პროტესტი განუცხადა ჩინეთის მთავრობას და მოსთხოვა ღონისძიებათა მიღება, რათა მომავალში აღარ განმეორდეს ჩინეთის შეიარაღებული რაზმების ასეთი უკანონო მოქმედება. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ უფლება დაიტოვა ჩინეთის მთავრობას მოსთხოვოს იმ ზარალის სრული ანაზღაურება, რაც მონღოლეთის მხარეს მოუვიდა ჩინეთის შეიარაღებული რაზმების განუწყვეტელი თავდასხმებით.

ურუგვაის პრესა ბოგოტის კონფერენციის შესახებ

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. (საქინფორმ). ურუგვაის გავლენიანმა გაზეთმა „ელ დებატემ" გამოაქვეყნა მოწინავე სტატია სათაურით: „ბოგოტის კონფერენცია მეტად სერიოზულ შიშს იწვევს".

გაზეთი ეხება ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებებს ამერიკის კონტინენტის დაცვის ეგრეთწოდებული მუდმივი საბჭოს შექმნის შესახებ და აცხადებს; „სამხედრო კავშირზე ხელმოწერა და ისეთი ზეორგანოს შექმნაზე დათანხმება, რომელიც კონტროლს უწევს ნახევარსფეროს მთელ შეიარაღებულ ძალებს, ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის, უბრალოდ რომ ვთქვათ, იმას ნიშნავს, რომ დათანხმდნენ ევროპასა და აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების ახალ მილიტარისტულ ავანტიურაში მონაწილეობა მიიღონ როგორც სატელიტებმა... ამაოდ ცდილობენ შენიღბონ ყოველივე ეს დემოკრატიისა და ცივილიზაციაზე გაცვეთილი მითითებებით".

სტატიის ავტორი შეფასებას აძლევს კონფერენციაზე განსახილველ ეკონომიურ პრობლემებს და სწერს, რომ ეს პრობლემები იწვევენ სერიოზულ შიშს, რაც დაკავშირებულია ამერიკის მონოპოლიების იმ ცდებთან, რომ ამერიკის დანარჩენი რესპუბლიკების ვაჭრობა და მრეწველობა დაუმორჩილონ თავიანთ საფინანსო ინტერესებს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საფინანსო ოლიგარქიის ინტერესებს. „ამერიკელ ბანკირთა პოზიცია, — სწერს გაზეთი, — კარგად არის ცნობილი: ისინი გვთავაზობენ მილიონობით დოლარს იმ პირობით, თუ მათი კაპიტალური დაბანდებანი ყოველნაირად იქნება გარანტირებული, სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ მათ საფინანსო მაქინაციებს თავისუფალი ასპარეზი მიეცემა. თუ ეს პრეტენზიები დაკმაყოფილებულ იქნა, ლათინური ამერიკისათვის დადგება კოლონიური ეკონომიური დამოკიდებულების შავბნელი ეტაპი, ათასჯერ უფრო ცუდი, ვიდრე ის დამოკიდებულებაა, რომელსაც უკანასკნელ ხანს ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკები განიცდიან".

ინგლისელები არ აპირებენ სუეცის არხის ზონიდან თავისი ჯარების გაყვანას

კაირო, 4 აპრილი. (საქინფორმ). როგორც გაზეთ „ალ-კუტლაის" კორესპონდენტი სუეცის ...

ამას წინათ, — სწერს კორესპონდენტი, — ინგლისის სამხედრო ხელისუფლებმა მიიღეს გა- ...

ინჟინერ ვ. ჯავრიშვილის სისტემის საბაგირო გზა

ინჟინერმა ვ. ჯავრიშვილმა დაამუშავა ავტომატური საბაგირო გზის ორიგინალური პროექტი. ამ პროექტის მიხედვით აგებული საბაგირო გზა შეიძლება გამოიყენოთ მოკლე მანძილ- ...

ამიერკავკასიური ბრიგადა კოლმეურნეობებში

...

ხელოვნების ქრონიკა

მუსიკალური კომედიის თეატრში

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი მუშაობას ამთავრებს კალმანის ცნობილ ოპერეტა „ბაიადერაზე". პრემიერა ნაჩვენები იქნება აპრილის პირველ ნახევარში. პიესას სდგამს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ძნელაძე, მხატვარი—ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. შტინბერგი, ცეკვებს სდგამს დ. მაჭავარიანი, დირიჟორი პ. დიასამიძე. მთავარ როლებს ასრულებენ. მ. ხოფერია, თ. ბერძენიშვილი, ნ. თულაშვილი, ქ. კობახიძე, მ. ბერიაშვილი, დ. ესებუა, ვ. სალარიძე, ნ. მოსეშვილი, ა. ტურიაშვილი, ი. ბაკაკური.

ცეკვებში მონაწილეობენ: ო. კაჰანცოვა, ს. გორგაძე, გ. პოლოსოვი, ლ. ვენისი.

შემდეგ პრემიერად ნაჩვენები იქნება თანამედროვე მუსიკალური კომედია „ნათელა", მუსიკა კომპოზიტორ გ. თორაძისა. სპექტაკლს სდგამს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. გამრეკელი, მხატვრობა რ. ჯავრიშვილისა, ქორეოგრაფია დ. მაჭავარიანისა.

მოკლე ხანში თეატრი უჩვენებს პოპულარული ოპერეტის „არშინ მალ-ალანის" განახლებულ დადგმას. აღდგენილი იქნება: „ხაჯარათი", „აყვავებული ბაღი", „საქორწინო მოგზაურობა" და სხვა.

აპრილის დასაწყისიდან თეატრი ორშაბათობით და სამშაბათობით წარმოდგენებს გამართავს ძერჟინსკის სახელობის კლუბში.

პრემიერა სანიტარული კულტურის თეატრში

უახლოეს დღეებში თბილისის სანიტარული კულტურის თეატრი მორიგ პრემიერად უჩვენებს გრ. ბერძენიშვილის პიესას „ყვავილების თვე".

პიესას სდგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ყუშიტაშვილი, მხატვრულად აფორმებს კ. ნინიძე.

როლებს ასრულებენ მსახიობები დ. მელიქიშვილი, შ. სულაბერიძე, ც. მეძმარიაშვილი, ნ. კაკაბაძე, გ. ნავროზაშვილი, ა. დოლიძე, გ. ლეჟავა, ქ. მჭედლიშვილი და სხვ.

ონის კულტურის სახლი

ნაყოფიერად მუშაობს ონის ახლად აგებული კულტურის სახლი, რომელიც გასული წლის დეკემბერში გაიხსნა. დრამატიულმა კოლექტივმა უკვე დასდგა ა. წერეთლის „პატარა კახი", ხოლო ამჟამად წარმატებით აჩვენებენ მარგარიტა ალიგერის პიესას „ზღაპარი სიმართლეზე".

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

6 აპრილს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. კალაძისა და ამხ. კალინინას კონსულტაცია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების საკითხებზე.

6 აპრილს, საღამოს 9 საათზე, შესდგება პარტიულ-სამეურნეო აქტივის სემინარი თემაზე: „ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი".

ლექტორი ამხ. მგალობლიშვილი.

7 აპრილს, დილის 9 საათზე, პირველადი ...

თეატრებში

6 აპრილს: ოპერისა და ბალეტის — „აბესალომ და ეთერი"; რუსთაველის სახელობის — „არწივის ბუდე"; მარჯანიშვილის სახელობის — „გამახარე"; გრიბოედოვის სახელობის — „დიდი ძალა"; მოზარდ მაყურებელთა ქართული — „რომეო და ჯულიეტა".

კინოებში

6 აპრილს: „რუსთაველი", „ოქტომბერი" — „თქმულება ციმბირის მიწაზე"; „ამირანი", „კომკავშირელი", „სპარტაკი" — „იან როგაჩ"; 26 კომისრის სახელობის — „თქმულება ციმბირის მიწაზე"; ...